საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 8 მარტი, 2014 წელი.

№47 (7428)

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცუდილებით და ჯიბეებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.

გილოცავთ, ბედნიერად გერვამარტოთ!

კანონიერად მოგისმენთ, ③

უკანონოდ – არა!

მთავრობები მოდიან და მიდიან, მონოპოლისტები კი რჩებიან ④

საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე თანაბარ პირობებშია! ⑤

დღის ამფრაზურიდან

აფერუმ შენს ქართველ ქალობას, ქეთუშ!

ანუ „იავნანამ რა ჰქმნა?..“

ნაციონალების შავ დროში ჩარჩენილი „Weekend“-ის ბოლო ნომერში (7 მარტი) კულტურის მინისტრის მოადგილეობადაკარგული იგნატოვას ქალი (ახლა ქეთევანი, ყოფილი ქეთუსია) ჯიუტად განაგრძობს თავის დრომოჭმულ თუ ყავლგასულ პუბლიცისტობას („ნერვიულობისა და სიბრაზიის დღეები“). აი, როგორ „პატრიოტულად“ ამთავრებს ახალი დროისგან ეს განერვიულებული და გაბრაზებული კალამგირი (კალმის ბოროტად გამომყენებელი) თავის 21-ე საუკუნის შესატყვის ნააზრევს:

„მაშინ, როდესაც მთელი მსოფლიო ოსკარების გასაოცარ სანახაობრივ დაჯილდოებას უყურებს და მერილ სტრიპის ღიმილით ტკბება, ჩვენ „იავნანას“ სოფლის კლუბი ვინ მოგვისაჯა? ჩვენთანაც ხომ 21-ე საუკუნეა?

ჩვენი აზრით, ეს ნაციონალი ბანოვანი „იავნანათი“ გაზრდილი არ უნდა იყოს. შენ როგორ ფიქრობ, ნამდვილად ქართველო?!.

გაზეთში ნებისმიერი განცხადების გამოქვეყნება თუ გინდათ,

ჩვენთან მობრძანდით!

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ შეუზღუდავად და ყოველდღიურად აქვეყნებს ნებისმიერი ხასიათის სარეკლამო განცხადებებს (ტენდერები, აუქციონები, კრებები, ყიდვა-გაყიდვა და სხვ.), რომელთა პუბლიკაციის ექსკლუზიური უფლება წინა ხელისუფლების უკანონო გადაწყვეტილებით აქამდე მინიჭებული ჰქონდა მხოლოდ გაზეთ „24 საათს“, რომელსაც აღნიშნული პრივილეგია ჩამოერთვა.

ჩვენი მისამართია: თბილისი, გ. ახვლედიანის ქ. №19; ელფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge.

ტელეფონები: 299 62 77; 5 99 79 76 79.

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ჟიული შარტავას მსგავსი გმირების სიცოცხლე სიკვდილით არ მთავრდება

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ჟიული შარტავას 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ვაკის სასაფლაოზე მივიდა და ეროვნული გმირის ხსოვნას პატივი მიაგო.

როგორც გიორგი მარგველაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, ჟიული შარტავასთან ერთად ის პატივს მიაგებს იმ ადამიანების ხსოვნას, ვინც სისხლი დაღვარა აფხაზეთის ტრაგედიაში.

— ჟიული შარტავას მსგავსი გმირების სიცოცხლე არ მთავრდება სიკვდილით. ერის გამთლიანება ასეთი გმირების ნამოქმედარზე გადის. მისი სიცოცხლე გრძელდება და ემსახურება როგორც ქართველების, ასევე აფხაზების, მთლიანად საქართველოს მთლიანობას და ერთიანობას, — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

ჟიული შარტავას საფლავი გვირგვინებით საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, ასევე აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლებმა შეამკეს.

* * *

— ჩვენ შევიკრიბეთ, რომ გავიხსენოთ საქართველოს ეროვნული გმირი — ჟიული შარტავა - კაცი, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება სამშობლოს მიუძღვნა და სიცოცხლეც უყოყმანოდ გასწირა მისთვის.

ჟიული შარტავა 1993 წლის 27 სექტემბერს მხეცურად მოკლეს. ეს დღე უმძიმესია საქართველოს უახლეს ისტორიაში. ამ დღეს დაეცა სოხუმი. ამ ომს 15 ათასამდე ქართველის სიცოცხლე შეეწირა. ეს იყო ჩვენი დროის უმძიმესი ძმათამკვლელი ომი. ამ ომმა გახლიჩა ქართველებისა და აფხაზების მრავალსაუკუნოვანი ძმობა. ამ ომში გამარჯვებული არ არსებობს. ამ ომს შეეწირა ჟიული შარტავა. პატივს მივაგებ საქართველოს ეროვნული გმირის ჟიული შარტავას ხსოვნას. ქართველი ხალხი არასოდეს დაივიწყებს მის სახელს, ჟიული შარტავა ყოველთვის იქნება სამშობლოსთვის თავგანწირვისა და გმირობის დიდი მაგალითი მომავალი თაობებისათვის, — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

* * *

ვიცე-პრემიერმა, ენერგეტიკის მინისტრმა კახი კალაძემ, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ, ქვემო ქართლის გუბერნატორმა გიორგი მღებრიშვილმა, კახეთის გუბერნატორმა ირაკლი შიოლაშვილმა და რუსთავის მერმა დავით ჯიქიამ რუსთავში ჟიული შარტავას 70 წლისთავთან დაკავშირებით, ეროვნული გმირის მემორიალი ყვავილებით შეამკეს. მინისტრებმა და მხარის ხელმძღვანელებმა ჟიული შარტავას მიერ ქვეყნისათვის გაწეულ ღვაწლზე და მის გმირობაზე ისაუბრეს.

— მე მინდა გავიხსენო სიტყვები, რომელიც ჟიული შარტავამ თავის მეგობრებს უთხრა — ვიბრძოლებთ ბოლომდე, ვიდრე შეგვიძლია. თუ სიკვდილი გვიწერია, არც ეს არ არის პრობლემა, რადგან ისეთი ახალგაზრდა ბიჭები იხოცებიან, სიცოცხლეზე ფიქრი ზედმეტია, ბედისწერას ვერ გავექცევით. ამ ადამიანმა, თავისი ქმედებით, ყველას გვაჩვენა თუ როგორ უყვარდა თავისი ქვეყანა, ის თავის მეგობრებთან ერთად შეეწირა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას“, — განაცხადა ვიცე-პრემიერმა, ენერგეტიკის მინისტრმა კახი კალაძემ.

დავით ნარმანიას განცხადებით, ჟიული შარტავა არის გმირი, ადამიანი, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ დღეს, ჩვენს ქვეყანას უკეთესი მომავალი ჰქონოდა.

— ბატონი ჟიული არის, არა მხოლოდ გმირი ადამიანი, რომელსაც გული შესტკიოდა თავის სამშობლოზე, არამედ იყო დიდი მეცნიერი, რომელმაც თავისი სიცოცხლის მანძილზე ძალიან ბევრი მეცნიერული ნაშრომი და კვლევა დაუტოვა მომავალ თაობას, რომელსაც დღესაც იყენებენ მეცნიერები და ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მიმართულებით მომუშავე ადამიანები. მან ძალიან ხანმოკლე, მაგრამ ძალიან დატვირთული გზა გაიარა, მას რომ მეტი დაცლოდა, მეტს გააკეთებდა ჩვენი ქვეყნისთვის, — განაცხადა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ.

ჟიული შარტავას 70 წლისადმი მიძღვნილი ღონისძიებები რუსთავში 10 მარტამდე გაგრძელდება.

◎ რეიტინგი

პირველები ვყოფილვართ... ბოლოდან!

თბილისი ევროპის აუტსაიდერია

საქართველოში ცხოვრების დონე არ უმჯობესდება, თბილისი კი კონსალტინგური კომპანია „მერკერის“ რეიტინგით, ცხოვრების დონის მიხედვით, ბოლო სამი წელია, ევროპის ქალაქებს შორის უკანასკნელ ადგილს იკავებს. ამ რეიტინგის მიხედვით, პირველ ადგილზე ავსტრიის დედაქალაქი ვენაა, თბილისი კი 191-ეა.

რეიტინგის ავტორები იმასაც აღნიშნავენ, რომ თბილისი აგრძელებს ცხოვრების დონის გაუმჯობესებას, ძირითადად, სამომხმარებლო სიკეთეებთან წვდომის, ინფრასტრუქტურის განვითარებით და შიდა სტაბილურობის გაზრდით. თუმცა, რეიტინგში დასაწინაურებლად ეს საკმარისი არ არის. თბილისთან ერთად, ევროპაში ბოლო პოზიციებზეა ბელორუსის დედაქალაქი მინსკი — 189-ე, სომხეთის დედაქალაქი ერევანი — 180-ე და რუსეთის რანგით მეორე ქალაქი სანკტ-პეტერბურგი — 168-ე.

„მერკერის“ ცხოვრების დონის ინდექსი 39 ინდიკატორის მიხედვით დგება. კრიტერიუმებს შორისაა პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, ჯანდაცვა, განათლება, რეკრეაცია და გარემოს დაცვა.

სხვათა შორის, ქართველი ექსპერტებიც ადასტურებენ, რომ საქართველოში ცხოვრების დონე წლიდან წლამდე ვერაფრით უმჯობესდება. ამის მიზეზად მუდმივად მაღალი უმუშევრობა მიიჩნევა, რამაც დროთა განმავლობაში მოსახლეობის ფინანსური მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა. სპეციალისტების შეფასებით, ჩვენი ქვეყნის ცხოვრების დონე მსოფლიოს საშუალო სტანდარტზე დაბალია.

ცხოვრების დონის საერთაშორისო შედარებისთვის ხშირად ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის მაჩვენებელს იყენებენ (მსყიდველობითი უნარის პარიტეტი). ქვეყნებს შორის ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის მაჩვენებელი საერთაშორისო სტანდარტით, აშშ დოლარებში იზომება. საქართველოს ეს მაჩვენებელი 6000 აშშ დოლარის ფარგლებშია, რაც ერთ სულ მოსახლეზე საერთაშორისო საშუალო მონაცემს ბევრად ჩამოუვარდება.

არადა, საქართველოს მთავრობა ამტკიცებს, რომ მათი მთავარი პრიორიტეტი მოსახლეობის ცხოვრების დონის მკვეთრად გაუმჯობესებაა. ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურისთვის მთავარი რეიტინგი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებაა და საერთო კეთილდღეობის ამაღლებაა.

„ჩემთვის მთავარი რეიტინგი მოსახლეობის ცხოვრების დონე და ქვეყნის ეკონომიკური განვითარებაა. ამ მხრივ საქართველო მოწინავე პოზიციებზე არ არის. ჩვენი ამოცანაა, სწორედ აქ ვიყოთ უფრო წარმატებულები“, — განაცხადა ხადურმა.

სხვათა შორის, საქართველოში ცხოვრების დონის აღმასვლას ევროკავშირი დააკვირდება. ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბაროზომ იმედი გამოთქვა, რომ ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ საქართველოსთან ინსტიტუციური თანამშრომლობა ნაყოფიერი იქნება. გამარტივებული სავაჭრო ურთიერთობები კი ქვეყნებს ხელს შეუწყობს ევროკავშირის პროგრამებში მონაწილეობისათვის სხვადასხვა მიმართულებით — განათლება, უსაფრთხოება, ენერგეტიკა და ა.შ.

„ჩვენ თქვენთან ერთად ვართ. ეს ერთობლივი ძალისხმევა, ერთობლივი გადაწყვეტილებაა. ჩვენ დაინტერესებული ვართ თქვენი წარმატებით, ჩვენთვის სასარგებლოა თქვენი სტაბილურობა და სიამოვნებით ვუყურებთ, რომ თქვენი ძალისხმევა ფასდება. ჩვენ დავაკვირდებით საქართველოში ცხოვრების დონის აღმასვლას“, — აღნიშნა ბაროზომ.

ბექა დანელია

◎ ვინ — ვის?

როგორ გარბოდნენ მაღალჩინოსნები აგვისტოს ომის დროს საქართველოდან

საპარლამენტო უმცირესობის წევრი გოგა ხაჩიძე ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარეს ეკა ბესელიას ყოფილი ხელისუფლების იმ მაღალჩინოსნების დასახელებას სთხოვს, რომლებიც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ქვეყნიდან გარბოდნენ.

საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელმა პარლამენტში გამართულ ბრიფინგზე ბესელიას და უმრავლესობის წარმომადგენლებს სთხოვა, ჭორიკნობას თავი დაანებონ და კონკრეტული სახელები დაასახელონ.

— ერთხელ და სამუდამოდ გაირკვეს, ვინ დატოვა 2008 წელს ომის დროს საქართველოს ტერიტორია; ვინ მიატოვა თავისი პასუხისმგებლობა, არ იშრომა და არ იომა. „ქართული ოცნების“ მიერ მსგავსი ჭორაობა და რიტორიკა უნდა დასრულდეს. პირადად მე ვიღებ პასუხისმგებლობას, რომ თითოეულ ასეთ დასახელებულ ადამიანზე მოვიპოვებ ინფორმაციას, — განაცხადა გოგა ხაჩიძემ.

ეკა ბესელიამ ოპოზიციონერ კოლეგებს გუშინ პარლამენტის ტრიბუნიდან ურჩია, „მორალური კატეგორიებით საუბარს, გამბედაობასა და თავგანწირვაზე რჩევებს თავი დაანებონ. მან „ნაციონალურ მოძრაობას“ 2008 წლის ომთან დაკავშირებული „ცალკეული ეპიზოდები გაახსენა“.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია უმცირესობის დეპუტატს გოგა ხაჩიძეს პასუხობს. საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ჟურნალისტებთან საუბრისას აცხადებს, რომ 2008 წლის ომის დროს, წითელ ხიდთან ქვეყნიდან გასაქცევად ხელისუფლების მაღალჩინოსნების და მათი ოჯახის წევრების რიგები იდგა.

— თუ ხაჩიძეს არ ახსოვს, შეუძლია ინფორმაციები ამოიღოს, რადგან ის საჯაროა. თუ კიდევ უნდა ამაში დახმარება, მაშინ მე შემიძლია კონკრეტული გვარ-სახელები შევახსენო. სია საკმაოდ დიდი და შთამბეჭდავია. ჩვენ შეგვიძლია, ჩამოვთვალოთ ის მაღალჩინოსნები, რომლებსაც იმ პერიოდში არ დაუტოვებიათ საქართველო. საბოლოოდ აღმოჩნდება, რომ მათი რაოდენობა საკმაოდ მცირეა, — აცხადებს ეკა ბესელია.

◎ SIC!

მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში ვართ, რადგან ჩვენი ტერიტორიის 20 პროცენტი ოკუპირებულია

ამის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ რუსეთის სამხედრო ვერტმფრენების მიერ საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევის ფაქტის კომენტირებისას განაცხადა.

— 2008 წლის შემდეგ დაახლოებით ათასამდე საჰაერო სივრცის დარღვევის ფაქტს ჰქონდა ადგილი. საქართველოს შეიარაღებული ძალები აკონტროლებენ ვითარებას და ყველა მოქმედებისთვის მზადყოფნის შესაბამისი სცენარია გამოცხადებული. მინდა, გითხრათ, რომ არანაირი საფრთხე ამ გადაფრენას ჩვენი უსაფრთხოებისთვის იმ მოცემულ მომენტში დამატებით არ შეუქმნია. ჩვენ ვართ მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში, იმიტომ, რომ ჩვენი ტერიტორიის 20% ოკუპირებულია. აქედან გამომდინარე, ჩვენს გეგმებში ამით არაფერი არ შეცვლილა, — განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

ხუთშაბათს, დაახლოებით 12:20 საათზე, ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში უკანონოდ განლაგებული სამხედრო ბაზიდან „მი-8“ ტიპის რუსული სამხედრო ვერტმფრენი საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად საჰაერო სივრცეში შემოიჭრა და გადაუფრინა გორისა და კასპის რაიონების სოფლების — არბოს, მერეთის, დიცის, კოშკას, ქერეს, ფლავის, ფლავისმანის, ქვეშის, მეჯვრისხევის, ზერტის, კირბალის, ბერშუეთის, წითელუბნის, ხურვალეთის, ზადიაანთკარის, საკორინთლოს, ქვემო ჭალას, პანტიანისა და ვეკეს ტერიტორიაზე განლაგებულ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგუშაგოებსა და პოლიციის შენობებს.

6 მარტს, დაახლოებით 18.22 საათზე, ოკუპირებულ აფხაზეთში უკანონოდ განლაგებული რუსული უპილოტო საფრენი აპარატი გალის რაიონის სოფელ ნაბაკევის მიმართულებიდან შემოიჭრა ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად საჰაერო სივრცეში და გადაუფრინა ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩაში განლაგებულ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგუშაგოებს.

ინტერპრესი

◎ როგორ დავიცვათ ჩვენი უფლებები?

კანონიერად მოგისმენთ, უკანონოდ – არა!

„ეს შენ გეხება!“ „ისევ გვისმენენ!“ – არასამთავრობო ორგანიზაციათა ჯგუფი უკანონო მოსმენების წინააღმდეგ კამპანიას იწყებს. ორგანიზატორების თქმით, კამპანიის მიზანია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა და უკანონო მოსმენების, მიყურადების წინააღმდეგ მოქმედება. მათივე განცხადებით, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ხელისუფლებაში მოსულ მმართველ კოალიციას ამ მიმართულებით არანაირი სისტემური ცვლილება არ განუხორციელებია და სამართალდამცავ ორგანოებს კვლავ აქვთ შეუზღუდავი წვდომა კავშირგაბმულობის ოპერატორთა მონაცემებთან, მოქალაქეთა შორის ყველა სახის კომუნიკაციასთან.

კამპანიის ორგანიზატორების განცხადებით, თუ ხელისუფლება ინიცირებული ცვლილებების განხორციელებაზე მზაობას განაცხადებს, მაშინ ისინი პარლამენტთან ერთად კანონმდებლობის დახვეწაზე იმუშავებენ. კამპანიის ფარგლებში იგეგმება აქციების, დისკუსიების და კონფერენციების მოწყობა. როგორც ა-ო „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ხელმძღვანელი **ეკა გიგაური** ამბობს, აქტივობები იქნება რამდენიმე მიმართულებით.

„ერთი მხრივ, სოციალური ქსელის საშუალებით გვინდა ჩავრთოთ მოქალაქეები. მივაწოდოთ ინფორმაცია, თუ რა იყო ის მანკიერი პრაქტიკა და რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ განხორციელდეს სისტემური ცვლილება. მეორე გახლავთ ის, რომ ჩვენ შევხვდებით როგორც პარლამენტის წევრებს, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

ავუხსნით რას ვითხოვთ. იქნება დისკუსია, ჩვენ მოვიწვევთ აბსოლუტურად ყველას, მათ შორის შსს-ს წარმომადგენლებს და სხვა პირებს, რომლებიც ჩართულები არიან ამ საქმიანობაში, რომლებმაც იციან როგორი უნდა იყოს სისტემა. ჯერჯერობით, ამით შემოვიფარგლებით, ვნახავთ რა რეაგირება იქნება. ამის მერე დავგეგმავთ ჩვენს ღონისძიებებს“, – ამბობს ეკა გიგაური.

არასამთავრობო ორგანიზაციებს მიაჩნიათ, რომ საკითხის გადაწყვეტის ერთადერთი გზა პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტის „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ მიღებაა, რომელიც უზრუნველყოფს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას და ამ კუთხით არსებული სტანდარტების დაცვას.

„ეს ეხება თითოეულ მოქალაქეს საქართველოში. ეხება ძალიან ცუდად და პრობლემურად, ამიტომ, ჩვენ უნდა დავძლიოთ ეს პრობლემა, წინაალმდეგ შემთხვევაში, ვიქნებით ერთი დიდი თვალის ქვეშ. ნამდვილად არ მინდა ვცხოვრობდე ქვეყანაში, რომელსაც დემოკრატიულობის პრეტენზია აქვს და ამ ქვეყანაში ვიღაცებს ვიღაცები უთვალთვალებენ. ეს არანორმალური და არაჯანსაღია. გვჭირდება სერიოზული სამართლებრივი და პოლიტიკური ხასიათის რეფორმების გატარება.

ჩვენ გვაქვს მოქმედი დრაკონული კანონები, რომელიც არანაირად არ შეესაბამება დასავლურ სტანდარტებს. დღეს ჩვენი კანონმდებლობა ყველანაირ საშუალებას იძლევა, რომ აღადგინო ის სისტემები, რომელიც არსებობდა. ამიტომ, ძალიან პრინციპულია, რომ განვახორციელოთ სისტემური ცვლილებები, შევქმნათ სისტემური გარანტიები. რა თქმა უნდა, სიტყვა მნიშვნელოვანია, მაგრამ ჩვენ გვჭირდება საქმე, საქმე არის სამართლებრივი ცვლილებები, რომელიც აუცილებლად უნდა განხორციელდეს. სამწუხაროდ, ძველი სისტემა ამ ცვლილებების მომხრე არაა, ისინი ძალინ ხისტად უყურებენ, უნდათ შეინარჩუნონ ის კანონმდებლობა“, – აცხადებს for.ge-სთან გაზეთ „რეზონანსის“ მთავარი რედაქტორი ლაშა ტუღუში.

როგორც ტუღუში აცხადებს, საჭიროა არსებობდეს საზოგადოებრივი აზრი. აქედან გამომდინარე, მისი თქმით, ამ მოძრაობას ძალიან მკაფიო და კონკრეტული ამოცანები აქვს.

„ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ხელმძღვანელი ეკა გიგაური აცხადებს, რომ გასული წლების განმავლობაში დამკვიდრდა ძალიან ცუდი პრაქტიკა შსს-ს მხრიდან: **„გასული წლების განმავლობაში დამკვიდრდა ძალიან ცუდი პრაქტიკა შს სამინისტროს მხრიდან, როდესაც დაამონტაჟეს ე.წ. შავი ყუთები მობილური ოპერატორების ოფისებში. ადრე ვფიქრობდით, ეს იყო დაკავშირებული იმასთან, რომ არ არსებობდა პოლიტიკური ნება. არჩევნების შემდეგ გვქონდა მოლოდინი, რომ ხელისუფლება გადახედავდა ამ პრაქტიკას და შეცვლიდა იმას, რასაც ჰქვია მიყურადება და თვალთვალი.**

ამასთან დაკავშირებით, სამწუხაროდ, ვერ ვნახეთ ვერანაირი წინგადადგმული ნაბიჯი. სურვილის შემთხვევაში მათ შეუძლიათ მოუსმინონ 21 ათას ადამიანს და ამის არანაირი მონიტორინგის მექანიზმი და რეგულაცია არ არსებობს. კანონმდებლობა არ არის დახვეწილი. თუ არაფერი პრობლემა არაა იმ რეგულაციების შემოტანა, მაშინ შემოიტანონ. დაიწყონ პარლამენტში ცვლილებების განხილვა. ნუ ეწინააღმდეგებიან იმ ცვლილებებს, რომელიც ჩვენ შევთავაზეთ საქართველოს პარლამენტს“, – ამბობს for.ge-სთან საუბრისას ეკა გიგაური.

„ა-ო განცხადებას გამოეხმაურა შს მინისტრი. **ალექსანდრე ჭიკაიძე** აცხადებს, რომ უკანონო მოსმენები არ ხორციელდება.

„მე მინდა, გითხრათ, რომ ამის არანაირი საფუძველი არ არსებობს. მინდა, დაგარწმუნოთ, უკანონოდ არაფერი ხდება. მე მგონია, საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე თავის ყოველდღიურ ცხოვრებაში გრძნობს ამას – არ იზღუდება და არ ირღვევა მათი უფლებები, პირიქით შინაგან საქმეთა სამინისტრო, ხშირ შემთხვევაში, არის ადამიანის უფლებადამცველი და მათი სიცოცხლის და ჯანმრთელობის დამცველი.

მე აღარ ჩავუღრმავდები, მაგრამ, როდესაც იყო რეალურად საფუძვლები, რატომღაც მაშინ დუმდნენ გარკვეული ადამიანები, რომლებიც დღეს მოსმენების თემაზე აქტიურად მუსირებენ. მიმდინარეობს კონსულტაციები, ჩემთვისაც, რა თქმა უნდა, მისაღები იქნება და შევჯერდებით იმ საკანონმდებლო ცვლილებაზე, რომელიც მისაღები იქნება ჩვენთვისაც და საქართველოს მოქალაქეებისთვისაც.

კომისიის მუშაობის პერიოდში, როდესაც მოხდა ამ ვიდეოფირების და აუდიოჩანაწერების განადგურება, მაშინაც იყო მსჯელობა, რაღაც რეკომენდაციები იყო, მაგრამ ამ ეტაპზე თავი შევიკავეთ. ოპტიმალურ საკანონმდებლო ცვლილებაზე რომ ჩამოვყალიბდებით, შემდეგ განვიხილავთ და აუცილებლად შევა საკანონმდებლო ცვლილება ჩვენს სამინისტროში“, – განაცხადა ალექსანდრე ჭიკაიძემ.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი **ზაქარია ქუცნაშვილი** განმარტავს, რომ „ქართული ოცნების“ პოლიტიკური ნებაა, დასჯილ იქნას ყველა ის ადამიანი, რომელიც უკანონო მოსმენებს ახორციელებს.

„ამ საკითხზე მსჯელობა ისტორიას უნდა ჩაბარდეს. ჩვენ გვაქვს პოლიტიკური ნება, რომ ეს საკითხი ერთხელ და სამუდამოდ მოგვარდეს და სამუდამოდ მოიხსნას დღის წესრიგიდან. სწორედ ამიტომ ვითხოვდით ჩვენ ყველა ჩანაწერის განადგურებას.

თუ ვინმე ბედავს თანამედროვე, „ქართული ოცნების“ საზოგადოებაში მსგავს ქმედებას, აუცილებლად იქნება მკაცრად დასჯილი. ვიმედოვნებ, რომ უკანონო მოსმენების საქმეები ისტორიას ჩაბარდა“, – აცხადებს ზაქარია ქუცნაშვილი.

კამპანიის მონაწილე ორგანიზაციები არიან „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“, „საია“, „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“, „ადამიანის უფლებების სწავლებებისა და მონიტორინგის ცენტრი“, „ფონდი ლიბერალური აკადემია“, „საქართველოს ეროვნული პლატფორმა“ და „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“.

რაც შეეხება კამპანიის ბიუჯეტს, როგორც ორგანიზატორები აცხადებენ, ამ კამპანიას გაწერილი ბიუჯეტი ჯერჯერობით არ აქვს. „ფონდი ღია საზოგადოება საქართველომ“ თავისი ბიუჯეტიდან უკვე დახარჯა 2 400 აშშ დოლარი. როგორც ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების პროგრამის მენეჯერი, თინიკო ბოლქვაძე აცხადებს, ეს არის წმინდა სარეკლამო მასალის მომზადება.

„სოროსის ფონდს აქვს თავისი ბიუჯეტი, აქედან ჩვენ დავხარჯეთ 2400 დოლარი, ეს არის წმინდა სარეკლამო მასალის მომზადება. იმისდა მიხედვით, როგორ განვითარდება მოვლენები, ჩვენ გვაქვს საბჭო და საბჭოს ვთხოვთ ნებართვას, რომ დავხარჯოთ ფული. შევხედავთ, კიდევ თუ საჭირო იქნება რამე მასალის მომზადება, კიდევ მოვითხოვთ თანხას და გავაკეთებთ რაც იქნება საჭირო, იმის შესაბამისად, როგორ განვითარდება მოვლენები“, – აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას თინიკო ბოლქვაძემ.

ლაშა ტუღუშის განცხადებით, ბევრი რამ აბსოლუტურად უფასოდ და ყოველგვარი დანახარჯების გარეშე გაკეთდა. **„რაც შეეხება ბიუჯეტს, ჩვენ ბევრჯერ გვქონდა ამაზე საუბარი, ძალიან ბევრი შრომა ჩაიდო. ძალიან ბევრი რამ გაკეთდა ენთუზიაზმზე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ვერ გეტყვით, მაგრამ რაც აქამდე მოვიტანეთ, მოვიტანეთ სწორედ უფულოდ“,** – აცხადებს ლაშა ტუღუში.

ეკა გიგაურის განცხადებით, გაწერილი ბიუჯეტი არ არსებობს. მისი თქმით, კამპანიაში მონაწილე ორგანიზაციები საკუთარი რესურსით გამოდიან.

„ჩვენ ამის არანაირი პროექტი არ გაგვაჩნია. ჩვენი იურისტები დასხდნენ და ჩვენს პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად შეიმუშავეს საკანონმდებლო ცვლილებები. მათ, ასევე შეისწავლეს საერთაშორისო პრაქტიკა და ამის მიხედვით შეიმუშავეს ეს საკანონმდებლო ინიციატივა. შესაბამისად, აქ ყველანი გამოვდივართ ჩვენი რესურსით, იმისათვის, რომ მოქალაქეების პირადი ინფორმაცია იყოს დაცული, ეს არის აქ ძალიან მნიშვნელოვანი“, – აცხადებს ეკა გიგაური.

თამთა ძარჩავა

◎ „პინგ-პონგის“ თამაში

მინაწერი გუშინდელ წერილზე...

გუშინ ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა წერილი „სოციალური რევოლუცია და დაკვეთილი კოპაბიტაცია“, რომელშიც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის, სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური დახმარებების ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსის ბ-ნი გელა ჩივიაშვილის ცინიკური და არაკომპეტენტური დამოკიდებულება, რაც უსახლკარო მოქალაქის ზაზა კვიცარიძის და მასთან ერთად უამრავი, დიახ უამრავი ჩვენი თანამოქალაქის მიმართ ხორციელდება.

გუშინ დილით რადიო „საქართველოს ხმის (FM 107.9) გადაცემა „პრეს-რევიუში“ მამუკა ბაკურიამ, დაზარალებულმა ზაზა კვიცარიძემ (არ გაგიკვირდეთ სიტყვა „დაზარალებული“) და ამ სტრიქონების ავტორმა (ეს ადამიანი და მასთან ერთად მრავალი სხვა ხელისუფალთა ცინიზმისა და არაკომპეტენტურობისგან არიან დაზარალებულნი) ვისაუბრეთ ამ პრობლემაზე. გადაცემის მსვლელობის დროს იყო ერთ-ერთი მსმენელის სატელეფონო ზარი, სადაც მან განაცხადა, რომ ზემოთ ნახსენები გელა ჩივიაშვილი არის კრიმინალი ივანე მერაბიშვილის ადვოკატის ძმა! გუშინვე კრწანისის გამგებელის ხათუნა ბერძენიშვილს მოადგილემ გელა ღვალაძემ ზაზა კვიცარიძეს ყოვლად აბსურდული პასუხები გასცა... მაპატიეთ, მაგრამ ტექსტს ვერ შემოგთავაზებთ, იმას კი გეტყვით, რომ გელა ღვალაძის განმარტებები ზუსტად ისე ჟღერდა, როგორც მიკი-მაუსის მიერ ახსნილი ფარდობითობის თეორია!

ამ რეპლიკას თან ვურთავ კრწანისის რაიონის გამგებლის, ქ-ნი ხათუნა ბერძენიშვილის მიერ „პატივისცემით“ მიწერილ წერილს, რომელიც ზემოთ ნახსენებ სააგენტოსთან „პინგ-პონგის“ თამაში უფროა, ვიდრე პრობლემის გადაწყვეტისთვის რაიმე ღონისძიების გატარება.

გია გაბრიჭიძე

ქ. თბილისის მერია
კრწანისის რაიონის გამგეობა
Tbilisi city Krtsanisi district administration

№ 18/140583559-ev
07. 03. 2014 წ.

მოქალაქე ზაზა კვიცარიძეს

მეხოფრენი: თბილისი, მისამართის გარეშე

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის კრწანისის რაიონის გამგეობას აქვს 28 თებერვლის განცხადებით (სარეგ. №12/14059359-44) მომართა მოქალაქე ზაზა კვიცარიძემ (პირადი №01015002613), მის: თბილისი, მისამართის გარეშე

როგორც განცხადებიდან ირკვევა, მისი ოჯახი დარეგისტრირებული იყო სოციალურად დაუცველად ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში. განმცხადებელი ითხოვს იგულისხმებოდეს ეკონომიკური მდგომარეობის გადამოწმების შედეგად მისთვის მინიჭებული სარეიტინგო ქულების ხელახლა გადასინჯვას.

მოქალაქე ზაზა კვიცარიძის მოთხოვნა გადაგზავნილი იქნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოში.

პატივისცემით,
კრწანისის რაიონის გამგებლის
მოადგილობის შემსრულებელი — ხათუნა ბერძენიშვილი

◎ ძატო იძა, ფძვილი აძა...

მთავრობები მოდიან და მიდიან, მონოპოლისტები კი რჩებიან

ამ აზრის ჭეშმარიტებაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, როცა ქვეყანაში ბოლო პერიოდის ფასების ზრდის დინამიკით დავინტერესდი. სავაჭრო ქსელში პროდუქტებზე ფასებმა საგრძნობლად რომ მოიმატა, ამას ოფიციალური სტატისტიკაც ველარ უარყოფს, მაგრამ უფრო მძიმე სურათი შეიქმნა ფარმაცევტულ ბაზარზე, სადაც მედიკამენტები ერთბაშად 10-20 პროცენტით გაძვირდა. ამის შემდეგ მთავრობის ცალკეულ ჩინოსანთა დაპირებები, რომ წამლები თანდათან გაიაფდებოდა, როგორღაც სააკაშვილისეულ ზღაპრებს დაემსგავსა. მით უფრო, რომ ის მედიკამენტებიც კი, რომლებიც 2012 წლის არჩევნების შემდეგ გაიაფდა, ამჯერად ისევ გაძვირდა(!).

ფასებმა განსაკუთრებით ანტიბიოტიკებზე მოიმატა. მედიკამენტი „ატორისი“, რომელიც თბილისის აფთიაქებში რამდენიმე თვის წინათ 11,90 ლარი ღირდა, ამჯერად მისი ფასი 12,35 ლარია, „პუროქსანის“ ფასი 15 ლარიდან 19 ლარამდე გაიზარდა, „ნოშპა“ — 5,40 ლარიდან 6.60 ლარამდე გაძვირდა. ბავშვის ხველების წამლის გაძვირება შუაზამთრის პირობებში, აგრეთვე, ფასების მნიშვნელოვანი ზრდა არტერიული წნევისა და გულის საშუალებებზე, მოსახლეობას დღეს განსაკუთრებით აღელვებს. მართალია, ზოგჯერ სააფთიაქო ქსელში რაღაც დღეებში მედიკამენტებზე გამოცხადებულია ფასდაკლება, მაგრამ მაშინაც კი წამლებზე ფასი გაცილებით მაღალია, ვიდრე რამდენიმე თვის წინათ იყო.

როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება დაედოს საფუძვლად წამლებზე ფასების გამუდმებულ ზრდას? იქნებ მედიკამენტების საზღვარგარეთელმა მწარმოებლებმა ასწიეს ფასები საკუთარ პროდუქციაზე და მისმა ქართველმა იმპორტიორებმაც, შესაბამისად, წაგებაზე რომ არ ემუშავათ, ჩვენთანაც გაზარდეს ფასი. ან იქნებ მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ მოვიდა, ხალხის ცხოვრების დონემ მნიშვნელოვნად აიწია და ფარმაცევტულმა ბაზარმა ეს სასიამოვნო ცვლილება მედიკამენტების ფასმატებაში ასახა, ან კიდევ, როგორც „ტრადიციულად“ ხდებოდა ხოლმე, თვითმმართველობის მოახლოებულმა არჩევნებმა ხომ არ იძალავა მოსახლეობის წამალსამკურნალო „დიეტის“ გაძვირებაზე?

არაო, წამლების გაძვირების მიზეზად ამ „საბუთებიდან“ არც ერთი არ გამოდგებაო, აცხადებენ ფარმაცევტულ კომპანიათა თავკაცები და მედიკამენტებზე ფასების ზრდას ეროვნული ვალუტის გაუფასურებას უკავშირებენ. **თუმცა, ავიწყდებათ, რომ 2013 წლის დასაწყისში, როცა „ქართულმა ოცნებამ“ დაპირებების შესრულება დაიწყო და ყველა სააფთიაქო ქსელში წამალი გაიაფდა, იმ პერიოდში ლარი არ გამყარებულა, მისი კურსი კარგა ხნის განმავლობაში სტაბილური იყო.** თუ წამლების ფასის მერყეობა ლარის კურსის მერყეობით არის განპირობებული, მაშინ იქნებ აგვიხსნან, ხსენებულ პერიოდში ისეთი რა დაესიზმრათ, რომ წამალსამკურნალო ბაზრის მაზანდა ერთბაშად დააგდეს?

აქვე ჩნდება მეორე კითხვაც. გასაგებია, რომ საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე მედიკამენტების თითქმის 80 პროცენტი იმპორტირებულია და წამლების ფასი ვალუტის კურსის მიხედვით დგინდება, მაგრამ **გაუგებარია, როცა ლარი დაახლოებით 8 პროცენტით გაუფასურდა, მედიკამენტები ერთბაშად 10-20 პროცენტით რატომ გაძვირდა?**

ამ კითხვაზე, უფრო სწორად, კითხვებზე პასუხის გაცემას ფარმაცევტულ კომპანიათა თავკაცები თავს არიდებენ. არასამთავრობო ორგანიზაცია „ჯანმრთელი სამყაროს“ ხელმძღვანელი **ზურაბ ფუტკარაძე** კი ფიქრობს, რომ თუ წამლების გაძვირებას ლარის კურსის ცვლილებას დავაბრალებთ, მაშინ ის მხოლოდ 3-5 თეთრით უნდა გაძვირებულიყო და არავითარ შემთხვევაში — მეტით. მაგრამ **„ზოგადად ჩვენთან ასეთი ტენდენციაა, თუ ლარის კურსი დოლართან მიმართებაში 1 პროცენტით იზრდება, პროდუქტს ამ ფაქტის მომიზეზებით 10-15 პროცენტით აძვირებენ. ასე მოხდა მედიკამენტების შემთხვევაშიც, რეალური მიზეზი კი მონოპოლიაა,** — დასძენს ფუტკარაძე.

აი, თურმე სად მარხია ძაღლის თავი! **წამლების წარამარა გაძვირების რეალური მიზეზი თურმე უნდა ვეძებოთ არა იმდენად ეროვნული ვალუტის კურსის რყევებში, არამედ ძირითადად ქვეყანაში გაპაპაჯორებული მონოპოლისტების ქმედებასა და მათ შორის დამკვიდრებულ არაჯანსაღ კონკურენციაში.** ეს კარგად უწყის თავად „ქართულმა ოცნებამაც“, რომელიც ხელისუფლებაში მოსვლისას ამბობდა, რომ ფარმაცევტულ ბაზარზე დაბალი ფასებით ახალ მოთამაშეებს შემოიყვანდა და მონოპოლიას დაშლიდა. მაშინ კომპანიებს კონკურენტის შემოსვლის მოლოდინი გაუჩნდათ და ამიტომ მის შემოსვლამდე მედიკამენტებზე ფასები დაწიეს.

როცა მონოპოლიასა და მონოპოლისტებზე ვსაუბრობთ, არ შემიძლია, არ გავიხსენო აწ უკვე კარგა ხნის გარდაცვლილი (პოლიტიკურად გარდაცვლილი), ნაცების მმართველობის წლებში **„ეკონომიკის მამად“ წოდებული კახა ბენდუქიძე, რომელმაც ლამის თავი გაიგიჟა, ვიდრე ქვეყანაში მოქმედ ანტიმონოპოლისტურ სამსახურს გააუქმებდა. საამისოდ მან საკმაოდ „სერიოზული“ მიზეზიც მოიყვანა: ეგენი თუ დავტოვეთ, მექრთამეობით გაირყვნებიანო, განაცხადა ხმამაღლა და ქვეყანა რომ არ დაზარალულიყო, გაუქმებული მუშაკების ფუნქცია (მექრთამეობა), მიუხედავად დიდი სამსახურებრივი გადატვირთვისა, თავად შეითავსა(!).**

ასეთი მიდგომით ნაცების მთავრობამ, ბუნებრივია, ვერ შექმნა ეკონომიკა, მაგრამ, სამაგიეროდ, შექმნა და განავითარა მონოპოლიზმი, რომელმაც გააღატაკა ქვეყანა და უზომოდ გაამდიდრა მსხვილი ჩინოვნიკობა, რომელიც მიმნდობად და გუნებიერად ჩაეხუტა მთავრობის ხელდასხმით წახალისებულ ასევე მსხვილ-მსხვილ მონოპოლისტებს. მიხეილ სააკაშვილის თავკაცობით შეიქმნა ერთპიროვნული მართვის რეჟიმი, რომლის ერთ-ერთი წამყვანი „დარგი“ იყო ელიტარული კორუფცია, რომელსაც ხორცპროდუქტების და საწვავის ბიზნესთან ერთად მონოპოლიზებული ჰქონდა მედიკამენტების ბიზნესიც.

ღვთის მადლით, საქართველოში ნაცების მმართველობა დასრულდა. გაჩნდა იმედი იმისა, რომ ქვეყანაში წლების მანძილზე დამკვიდრებული დამაქცევარი ეკონომიკური სისტემა შეიცვლებოდა ახლით, მოისპობოდა ბიზნესზე ზეწოლა და ყაჩაღობა, მონოპოლიზმი და კორუფცია. ეს პროცესი მართლაც დაიწყო და გრძელდება, მაგრამ მას თან ახლავს გარდამავალ პერიოდთან დაკავშირებული სიძნელეები, რამაც ბიზნესწრეებში ერთგვარი იმედგაცრუება გამოიწვია. სხვა პირობა, რასაც „ქართული ოცნება“ იძლეოდა, ძალიან ნელი ტემპით ან საერთოდ არ სრულდება. ისინი მეწარმეებს ანტიმონოპოლიური სამსახურის აღდგენასაც შეპირდნენ, მაგრამ დანაპირები დღემდე ვერ შეასრულეს. მათ ახლაც ახსოვთ, ბიძინა ივანიშვილმა ბიზნესმენებთან შეხვედრისას ფარმაცევტული კომპანიების თავკაცებს რომ უსაყვედურა — **წამლების სიძვირე მონოპოლისტების წყალობით არის გამოწვეული და მიხედეთო. ამას სწრაფი, თუმცა, ხანმოკლე რეაგირება მოჰყვა, მაგრამ პროცესი მალევე შეჩერდა და ფარმაცევტულ ბაზარზე, ისევე როგორც სხვაგან, დარჩა იგივე თამაშის წესები და იგივე არაჯანსაღი კონკურენტული გარემო, რომელიც საერთაშორისო წესებსა და ნორმებს დიდად სცილდება.**

არადა, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დაკანონებითა და ბაზარზე ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნით, რასაც გვპირდებოდა „ქართული ოცნება“, მართლაც შეიძლება ბაზრიდან მონოპოლისტების განდევნა და ფასების მნიშვნელოვანი შემცირება. ყველას გვახსოვს, ამ ორიოდე წლის წინათ „ფარმადეპოს“ სახელით შემოსულმა აფთიაქმა წამლების 25-30 პროცენტის ფასდაკლებით გაყიდვა რომ დაიწყო, გაჭირვებული მოსახლეობის როგორი კმაყოფილება გამოიწვია. იმხანად, ვინც კი ფინანსურ ხელმოკლეობას განიცდიდა, ყველა იმ აფთიაქს მიაწყდა. მაგრამ განვლო ცოტა დრომ და „ფარმადეპოების“ გვერდით სოკოებივით იბარტყეს „ფარმაცენტრებმა“, რომლებმაც ვითომ კონკურენციის მოტივით, წამლებზე ფასები დროებით დაწიეს. **როგორი კონკურენტებიც გამოდგნენ, ყველამ ვნახეთ და დავრწმუნდით. როგორც მოსალოდნელი იყო, მათ კონკურენციას გარიგება ამჯობინეს და მივიღეთ მედიკამენტებზე ისეთი ცეცხლმოკიდებული ბაზარი, როგორიც ამჟამად გვაქვს.**

რას ფიქრობს ამის თაობაზე ახალი ხელისუფლება, რომელიც ბიზნესმენებს შეპირდა, რომ მოსვლისთანავე ქვეყანაში გაბატონებულ მონოპოლიზმს ბოლოს მოუღებდა და ბიზნესს თავისუფალი სუნთქვის საშუალებას მისცემდა? როგორც ჩანს, მას ეს დაპირება არ დავიწყნია, მაგრამ შესრულება გაუჭირდა. ეკონომიკის მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ამას არც მალავს, მაგრამ „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონის დღემდე მიუღებლობას საკითხის სირთულით ხსნის. მინისტრს მიაჩნია, რომ კანონი გაამართლებს ბიზნესმენთა იმედებს, შეიქმნება კონკურენციის სააგენტო, რომელიც ქვეყანაში არსებული მონოპოლიების დაშლასა და კონკურენტული ბაზრის გახსნაზე იმუშავებს.

მაგრამ როდის დაადგება საშველი კანონის მიღებას, ბატონო მინისტრო, რომ არავინ უწყის? თუ თქვენს ნათქვამს დავუჯერებთ, ეკონომიკის სამინისტრომ ხსენებული კანონი კარგა ხანია გადაუგზავნა მთავრობას და ის პარლამენტს 2013 წლის ბოლომდე უნდა განეხილა და დაემტკიცებინა, მაგრამ დღემდე სასიკეთო რომ არაფერი ისმის? როგორც ამ დღეებში საქართველოს საერთაშორისო სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ ტელეეთერით საჯაროდ განაცხადა, **საქართველოში მთავრობები მოდიან და მიდიან, ბიზნესის სფეროში კი მდგომარეობა უცვლელი რჩება. 16 წელიწადია აქ ვარ, თქვა ფადი ასლიმ, როგორიც იყო ბიზნესზე პოლიტიკური მოტივით ზეწოლა შევარდნაძისა და სააკაშვილის მმართველობის პერიოდში, ისეთივე დარჩა ახლაც. დღესაც ხდება კომპანიების პოლიტიკური ნიშნით გამყოფა და შევიწროება, რის გამოც ბიზნესი თავისუფლად ვერ ვითარდება და უცხოელი ინვესტორებიც თავს ამიტომ იკავებენ საქართველოში შემოსვლაზეო.**

რა თქმა უნდა, არც ერთ მთავრობას, მათ შორის არც „ქართულ ოცნებას“ არ უნდა ჰქონდეს იმის იმედი, რომ ხალხი მათ მიერ ნაოცნებარ კეთილდღეობას მთელი ცხოვრება დაელოდება, ან კიდევ ყველაფერი, როგორც კეთილ ზღაპარში ხდება ხოლმე (ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა), ისე დამთავრდება!..

ოთარ ხუციშვილი

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● **გიჟი უნდა დაისაჯოსო! - ეს-ესაა მოითხოვა გოკა გაბაშვილმა, პარლამენტის მაღალი ტრიბუნიდან.**

რომ მეგონა, თავისი პრეზიდენტი გაახსენდა-მეთქი, თურმე ჰიტლერზე უთქვამს.

● **იმდენი ლანძღეს ეს თინა მახარაძე, ბოლოს თქვა, მე არ მითქვამს — ჩამიდესო.**

● **პარლამენტში უკრაინის დროშები რო აქვთ ჩამოკიდებული, უეჭველი ის კაცები არიან, მიშას საავადმყოფოებში რო ასვედრებდნენ.**

● **ომი, დაძაბულობის ესკალაცია, დაპირისპირებები თუნდაც იმიტომ არ მინდა, თამარ ნუცუბიძემ რომ არ გააშუქოს!**

ისედაც თავისი გაჭირვება ყოფნის ხალხს!

● **ცოტა ხნით ჯართის მოპარვაზე, მორატორიუმი რომ გამოცხადდეს და შევუშვათ აქედან ბიჭები, ვითამ ერთ კვირაზე მეტი დაჭირდება მავთულხლართების გასუფთავებას?**

● **როგორც ჩანს, აშშ-მა და ევროკავშირმა იმდენად „სწრაფი“ და „ქმედითი“ ზომები მიიღეს, რომ მოვლენების განვითარება დაჩქარდა და „ყირიმის ხელისუფლებამ“ რუსეთის შემადგენლობაში შესვლის გადაწყვეტილება მიიღო... რეფერენდუმიც დააჩქარა და 16 მარტს ჩატარდება ...**

რად უნდა რუსეთს ომი?

● **რაზე ვხალისობ იცით? აი რეიტერი და ასოშიეიტედ პრესი ვერ ავრცელებენ დღის განმავლობაში მთელი მსოფლიოდან იმდენ „ნიუსს“, რამდენსაც ნებისმიერი ერთი ქართული სააგენტო, ნახევარი საათის განმავლობაში, მალადეც, ძმაო თქვენე.. მალადეც!..**

● **სულ მიკვირს, რატომ ეშინიათ ნორმალური არჩევნების ჩატარების და კონკურენტუნარიანი პოლიტიკური გარემოს უზრუნველყოფის... რატომ არის ეს ძნელი და რატომ არ აქვთ არც ამათ, არც იმათ, ვინც ამათზე ადრე იყო, არც იმათ, ვინც კიდევ უფრო ადრე იყო, ამის პოლიტიკური ნება და სამოქალაქო შეგნება?**

ვერ ხვდებიან და ვერ ხედავენ, რომ ამ აბრაკადაბრათი ვერავინ ვერ რჩება მოგებული?

● **მარინ ლე პენი: ევროპელ ხალხს ევროკავშირში უკრაინის, თურქეთისა და ალბანეთის ნახვა არ სურს.**

აჰა, ჩვენ ისეთ ჩმორებად გვთვლიან, რომ დაე ამ ჩამონათვალშიც არ ვართ?!

● **უკრაინამ თქვა, ყირიმი ჩემი არ იყო, ჩამიდესო.**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ ბედი კაცისა...

საქრებულო აეროპორტისთვის გამსახურდიას სახელის მინიჭების საკითხის განხილვას თავს არიდებს

როგორც პარტია „თავისუფალი საქართველოდან“ იტყობინებიან თბილისის აეროპორტისთვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭების შესახებ საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტი 20 დეპუტატის მიერ ხელმოწერილია, თუმცა, საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილი და საკრებულოს სახელდების კომისია ხელოვნურად, გადაწყვეტილების დღის წესრიგში შეტანას კანონის დარღვევით ბლოკავენ.

— ეს არის კანონის უხეში დარღვევა, ვინაიდან საკრებულოს უმრავლესობას აქვს უფლება მხარი დაუჭიროს ან არ დაუჭიროს თბილისის აეროპორტისთვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭების პროექტს, მაგრამ არა აქვს უფლება — საკითხი დღის წესრიგში არ შეიტანოს, — აცხადებენ პარტიაში.

◎ საყოველთაო დაზღვევა

ის იყო საქართველოში პირველი სადაზღვევო მენეჯერი, ვინც ჯანმრთელობის სექტორში მუშაობდა. თვრამეტი წელიწადი უწყვეტად ამ საქმეს ემსახურა. დღეს კი ჯანდაცვის სამინისტროს სრულიად ახალ პოლიტიკას — საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას ხელმძღვანელობს... ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟიშვილი.

რა თქმა უნდა, არიან ქალბატონები, რომლებიც შრომის ფასად აღწევენ წარმატებას, ხდებიან პროფესიონალები და აზროვნებენ პროგრესულად, მაგრამ ბევრი მხოლოდ ვიწრო მერკანტილურ ჩარჩოებში რჩება. ჩვენ კი, სარვამარტოდ, ვესაუბრებით ქალბატონს, რომელიც მთელი თავისი განვლილი გზით მხოლოდ და მხოლოდ ხალხს ემსახურება.

ნომრის სტუმარია ჯანდაცვის პროგრამების მართვის დეპარტამენტის უფროსი რუსუდან გოგოლაშვილი.

რუსუდან გოგოლაშვილი: საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე თანაბარ პირობებშია!

— ძალბატონო რუსუდან, როგორ მოხვდით ამ მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე და რა გამოცდილება გქონდათ ამ სფეროში?

— 1994 წელს დავამთავრე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი და იმავე წელს დავიწყე მუშაობა სადაზღვევო კომპანია „ალდაგში“. აქ თავიდან ჯანდაცვის სექტორში დაზღვევა არ ჰქონდათ, მაგრამ მალევე ესეც გაკეთდა. მოგეხსენებათ, ის იყო ერთადერთი და პირველი კერძო სადაზღვევო კომპანია საქართველოში. ვიმუშავე სხვადასხვა პოზიციაზე. 2005 წელს კი სამედიცინო სამსახურის უფროსად გადავედი მეორე სადაზღვევო კომპანია „იმედი-L“-ში... 2013 წელს შემომთავაზეს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ხელმძღვანელობა. ძალიან ბევრ დიდ პროექტზე მიმუშავია, მაგრამ ეს ყველაზე მასშტაბური პროგრამაა. ამდენად სერიოზულ გამოწვევად მივიღე და დიდი სიამოვნებითა და ამასთანავე ინტერესით დავთანხმდი.

— ვინაიდან კარგად ხართ ჩახედული დაზღვევის კერძო სექტორში, რით განსხვავდება მისგან სახელმწიფო პროგამა?

— სახელმწიფო პროგრამაში, ბუნებრივია, არის დაზღვევის ელემენტები, მაგრამ ეს არ არის დაზღვევა. საქართველოს ბაზარზე ასეთი სიტუაცია იყო: კერძო კომპანიები ნებაყოფლობით აზღვევდნენ კერძო პირებს, ასევე ხდებოდა კორპორაციული დაზღვევები. მოგეხსენებათ, როგორც იცით, სახელმწიფომ კერძო სადაზღვევოებში დააზღვია გარკვეული კატეგორიის ადამიანები, სულ 9 კატეგორია. მათ შორის სოციალურად დაუცველები, იძულებით გადადგილებული პირები, მზრუნველობამოკლებულები და ა. შ. სახელმწიფო მათ უფარავდა გადაუდებელი შემთხვევების 100 პროცენტს, გეგმიურ ოპერაციებს — წლიური ლიმიტი 15 ათასი ლარით, ქიმიოთერაპიას — 12 ათასი ლარით და სხვა. დაახლოებით ნახევარ მილიონზე მეტი იყო დაზღვეული კერძო კომპანიებში...

თუმცა, 2013 წლის თებერვლის ბოლოს სახელმწიფო წავიდა სხვა გზით. დარჩენილი იყო 2 მილიონ 200 ათასი ისეთი ადამიანი, რომელთაც არ ჰქონდათ არანაირი დაზღვევა და იყვნენ აბსოლუტური დაცვის გარეშე. თუკი ადამიანი ხვდებოდა სამედიცინო დაწესებულებაში, ფაქტობრივად ოჯახი ღატაკდებოდა. ან ყიდდა უძრავ-მოძრავ ქონებას, ან ვალს იღებდა და ა. შ. სტატისტიკურად ასეთი შემთხვევის გამო ოჯახების 9 პროცენტი გაღატაკდა.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა სწორედ ამ ადამიანებისთვის შეიქმნა.

— არის 100-პროცენტიანი დაფინანსება და ასევე 70-პროცენტიანი თანადაფინანსება. რატომ და როგორ მოხდა ამის დადგენა?

— გადაუდებელი შემთხვევების 473 ნოზოლოგიური კოდი არსებობს, რომელიც აბსოლუტურად სრულად ფინანსდება. თითოეულ შემთხვევაზე 15 ათასი ლარის ოდენობით. 70-პროცენტით ფინანსდება ნებისმიერი სხვა შემთხვევა. ეს უფრო ისეთ ვითარებას შეეხება, რომელიც, შესაძლოა, გეგმიურად გაკეთდეს.

— ძალიან ხშირია ინსულტები. რამდენად საკმარისია ასეთ დროს 15 ათასი ლარი?

— უხეშად თუ ვიტყვი, 15 ათასი ლარი არის 2 კვირის მკურნალობის ფული, რომელიც მეტ-ნაკლებად ჰყოფნის ამ დაავადების პირველად ეტაპს, ანუ გადაუდებელ მკურნალობას. მაგრამ მაგალითად, არის შემთხვევა, როცა ხელოვნურ სუნთქვაზე იმყოფება ადამიანი და აპარატიდან ვერ ხსნიან. ეს შეიძლება 100 ათასს გადასცდეს.

როგორც აღვნიშნე, სოციალური პაკეტით 100 პროცენტი ფინანსდება. 5-დან 60-წლამდე ადამიანებისთვისაც გადაუდებელი შემთხვევა 100-პროცენტით ფინანსდება. ონკოლოგიური დაავადებების დროს — 80 პროცენტით იფარება, რაც შეეხება ამბულატორიულ კვლევებს — ლიმიტი 12 ათასი ლარის ფარგლებში ექცევა.

— რამდენად ძვირი უჯდება სახელმწიფოს ამგვარი „ქველმოქმედება?“

— გეტყვით მაგალითს და თავად განსაჯეთ. კომპანია „ალფამ“ უარი თქვა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ადამიანების მომსახურებაზე. ამიტომ ამავე პირობებით ეს ადამიანები სახელმწიფომ გადმოიბარა. აღმოჩნდა, რომ დაფინანსების ნაწილში დახარჯა გაცილებით ნაკლები, ვიდრე მაშინ, როცა ამ ფულს ბიუჯეტი „ალფას“ უხდიდა. ეს კარგი მაგალითი იყო იმისა, რომ სახელმწიფოს გადაეწყვიტა, ნელ-ნელა თვითონ გადმოებარებინა სოციალური პროგრამა, რომელსაც ადრე კერძო სადაზღვევო სექტორი მართავდა.

— ანუ ყველა სოციალურ პროგრამას უკვე თავად განკარგავს?

— დიახ. ეს პროცესი 2014 წლის ბოლომდე დამთავრდება. წარმოიდგინეთ, რომ 6-7 სადაზღვევო კომპანია ინაწილებდა ბიუჯეტის ფულს. თითოეულს 100-200 და კიდევ მეტი თანამშრომელი ჰყავს, ვისზეც ამ ფულის ნაწილს ხარჯავდა. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაზე კი მთელი საქართველოს მასშტაბით ამჯერად 250 ადამიანი მუშაობს და, შესაძლოა, 50-100 ადამიანი დაემატოს, მეტი არა. მოდით, შევადაროთ ერთმანეთს, რამხელა განსხვავებაა. ამას ემატება ისიც, რომ ვინაიდან სახელმწიფო მსხვილი შემსყიდველია, სამედიცინო დაწესებულებები შეიძლება კიდევ უფრო დაბალ ფასებში გვეთანამშრომლონ.

ანუ იმის თქმა მინდა, რომ ადმინისტრირების ხარჯები იაფი ჯდება, თუმცა, ამავე დროს სერიოზულად ვზრუნავთ იმაზე, რომ ხარისხი არ დავკარგოთ.

— როგორც ვიცი, მოცდის დიდი პერიოდები არის ჩადებული...

— დიახ. სოციალურ პაკეტებში 4-6 თვე, საყოველთაოში-2 თვე. ვცდილობთ, რომ ეს ვადა 1 თვემდე შევამციროთ.

— უნდა გკითხოთ ჭორვილაზე. საქართველო ჭორვილას გაუთანაბრეს და ჭორვილა საქართველოსო...

— ერთ-ერთ გადაცემაში ითქვა, არა?! რეალობა კი ასეთია: საჩხერეში 20-21 ათასი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ ადამიანს აქამდეც სახელმწიფო აფინანსებდა, რომელსაც „ქართუ“ მართავდა. ამის გარდა, ამ სადაზღვევო კომპანიამ გამოიჩინა კეთილი ნება და ზუსტად იმავე პირობებით დააზღვია საჩხერის დანარჩენი მოსახლეობა. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაც იმავეს ითვალისწინებს, ამიტომ ასეთი ქველმოქმედება ახლა არ არის საჭირო, აზრი არ ჰქონდა დაფინანსებას. დღეს ჯანდაცვის თვალსაზრისით საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე თანაბარ სიტუაციაშია.

— ამის პარალელურად არსებობდა ვერტიკალური პროგრამები: მაგალითად, ტუბერკულოზის, შიდსის დაფინანსება. ესენიც დარჩა?

— რა თქმა უნდა, ყველა ეს პროგრამა არსებობს და მას სახელმწიფო აფინანსებს.

— ჯანმრთელობის დაცვისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს პრევენციას. ამ მიმართულებით რა ხდება?

— მოგეხსენებათ, რომ გასული წლის 1 ივლისიდან პაკეტი გაფართოვდა. დაემატა შვიდი სპეციალისტის კონსულტაცია, ოჯახის ექიმის მომსახურება. მთავარია, ადამიანმა აირჩიოს პოლიკლინიკა, დარეგისტრირდეს და იქ მიიღოს მომსახურება. თუკი რაღაც მიზეზების გამო სურს პოლიკლინიკის გამოცვლა, 2 თვის შემდეგ ესეც შეუძლია.

იცით, რომ სადაზღვევო კომპანია „არქიმედე“ გაკოტრდა და სოციალური პროგრამით დაზღვეულები სახელმწიფომ გადმოიბარა. კერძო კომპანია მათ არჩევანის საშუალებას არ აძლევდა. ახლაც რატომღაც ამ პროცესმა მახინჯი ფორმა მიიღო და პოლიკლინიკებმა, სურვილის გარეშე მიიმაგრეს დაზღვეულები. ამ კუთხით სერიოზულ მონიტორინგს ვახორციელებთ და საჯარიმო სანქციებსაც გავამკაცრებთ იმ პოლიკლინიკებისთვის, ვისაც იძულების წესით დარეგისტრირებულ პაციენტებს აღმოვუჩენთ.

— იცით, რომ თავიდანვე ბევრი სკეპტიკურად უყურებდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას. თქვენი პროგნოზი როგორია?

— გარწმუნებთ, რომ მიმდინარე წელს არანაირი პრობლემა არ შეგვექმნება. თანხები სავსებით საკმარისია. ყოველთვიურ სტატისტიკას ვაწარმოებთ და ჯერ თანხებს არ გადავცდენილვართ.

უკვე წელიწადია, რაც ეს პროგრამა ფუნქციონირებს. ახლა ყველა მონაცემს გავაანალიზებთ და დავაკვირდებით, სად გვჭირდება ცვლილება, რა გავაუმჯობესოთ, რა დავამატოთ...

— თქვენი ინფორმაციით, ყველაზე მეტი პრეტენზია რასთან დაკავშირებით აქვს მოსახლეობას?

— პირველადი ჯანდაცვის ნაწილში. ხალხს ილუზია აქვს, რომ ყველაფერი უფასოდ უნდა ჰქონდეს, თანაგადახდა არ უნდა ხდებოდეს. მაგრამ ამისთვის არსებობს კერძო სადაზღვევო სექტორი, რომელიც ჯანდაცვის პროგრამის ზემოთ გააკეთებს პაკეტს. ვინც მუშაობს, ის მხოლოდ სახელმწიფოს იმედად არ უნდა იყოს და საკუთარ ჯანმრთელობაზე იზრუნოს.

— ანუ შეიძლება პარალელური დაზღვევა?

— დიახ. შეიქმნება საბაზისო პაკეტი. და მიმდინარე წლიდან დაზღვეულებსაც და არადაზღვეულებსაც შეეძლება კერძო კომპანიაში დაზღვევა.

— საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა თავიდან კერძო სადაზღვევო სექტორმა თავის „ჩაძირვად“ აღიქვა, თუმცა, თქვენ ამბობთ, რომ მათ საკმაოდ აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ ჯანმრთელობის კუთხით იმუშაონ.

— თუკი კერძო სექტორი სწორ პოლიტიკას აირჩევს და კარგ პროდუქტს შექმნის, გარწმუნებთ, რომ პრობლემა არ შეექმნება. ძალიან დიდი ნიში რჩება იმის იქით, რასაც საყოველთაო პროგრამა აფინანსებს. ჩვენ სხვა რამეს ვთავაზობთ, მათ შეუძლიათ შესთავაზონ სხვა რამ. მაგალითად, ამბულატორიული სერვისის ფართო სპექტრი, სტომატოლოგიური მომსახურება, მედიკამენტებით უზრუნველყოფა; შეუძლიათ თანაგადახდა დაუფინანსონ, ან 15 ათას ლიმიტს ზემოთ დაეხმარონ... მოკლედ, ამ ყველაფერს სწორი მარკეტინგი სჭირდება...

— სახელმწიფო ადამიანს არ მოკლავს იმის გამო, რომ ფული არა აქვს, თუ, რა თქმა უნდა, განწირული არ არის...

— კრიტიკული მდგომარეობისას დახმარება აუცილებლად აღმოეჩინება. ამის გამო არ მოუწევთ სახლის გაყიდვა, ვალის აღება. ორ კვირაში 15 ათასის გადახდა მართლაც რომ ძნელია. მაგალითად, ქიმიოთერაპიას 7500 ლარი სჭირდება, სახელმწიფო 6000 გადაუხდის, თვითონ 1500 გადაიხდის. ესეც ხომ შეღავათია. ანუ ადამიანი ახლა ბევრად უფრო დაცულია ჯანმრთელობის თვალსაზრისით, ვიდრე ადრე...

— პროგრამის შექმნისას რომელიმე ქვეყნის მოდელით ისარგებლეთ, თუ ინდივიდუალურია?

— ამ პროგრამაზე ჯანდაცვის სამინისტროს დიდი გუნდი მუშაობდა და მუშაობს. ეს არის პოლიტიკა. მაგრამ ვინაიდან, საქართველო განსაკუთრებული ქვეყანაა, ეს რაღაცნაირი მიქსია. როგორც ვიცი, 32 ქვეყანაში მუშაობს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, მაგრამ სადაც ის მოქმედებს, იქ სამედიცინო დაწესებულებების 99 პროცენტი სახელმწიფოს საკუთრებაშია. ჩვენთან კი პირიქით, თითქმის ყველა სამედიცინო ობიექტი პრივატიზებულია და კერძო მეპატრონე ჰყავს. ამიტომ გვიწევს ინდივიდუალური მუშაობა და პროგრამის თავისებური მართვა.

— გმადლობთ, საინტერესო საუბრისთვის. გილოცავთ დედის დღეს, აგრეთვე 8 მარტს და მშვიდობას, ჯანმრთელობას, ბედნიერებას გისურვებთ თქვენ და ჩვენს მოსახლეობას!

ესაუბრა
თეა მოსია

> **15 ათასი ლარი არის 2 კვირის მკურნალობის ფული, რომელიც მეტ-ნაკლებად ჰყოფნის ამ დაავადების პირველად ეტაპს, ანუ გადაუდებელ მკურნალობას. მაგრამ მაგალითად, არის შემთხვევა, როცა ხელოვნურ სუნთქვაზე იმყოფება ადამიანი და აპარატიდან ვერ ხსნიან. ეს შეიძლება 100 ათასს გადასცდეს.**

ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №219

სამხედრო რეჟისურა

მსახიობი ქალის დღიურიდან

რუსუდან ქვლივიძე, თეატრისა და კინოს მსახიობი, განხორციელებული თუ განუხორციელებული როლებით, ერთნაირად საინტერესო იყო საზოგადოებისთვის. შეუვალი, პრინციპული, ინტელექტუალი, ელვარე ტალანტი...

გარდაცვალებიდან ოცი წლის შემდეგ მისი ხელნაწერი დღიურების წაკითხვა დროის დისტანციიდან დანახული ჩვენი სამშობლოს უახლესი ისტორიაა, ადამიანთა მედით და ეპოქის ნიშნებით.

ჩანაწერებიდან ჩანს, რომ ის მევრს ფიქრობდა უსახელო თუ სახელოვან სიკვდილზე. თითქოს ეს მსახიობის ამპლუა არ უნდა იყოს, მაგრამ ფიქრობდა, აანალიზებდა ადამიანთა ქცევას, მსჯელობდა ყოველივე ამის შესახებ. კითხულობდა მევრს. მოიხმობდა მისთვის საინტერესო ავტორებს. მაგალითად, ეგზისტენციალისტ **სარტრის:** ***აქვს თუ არა საერთო საქმისთვის მნიშვნელობა იმას, თუ როგორ მოიქცევა ადამიანი მაშინ, როცა იცის, რომ სულ ერთია, მაინც სხვათაგან დაუნახავი და უსახელო სიკვდილი ელის... და საერთოდ, აქვს თუ არა ადამიანის ქცევას რაიმე მნიშვნელობა, რომელსაც ფაქტობრივად, პრაქტიკულად მას არ ან აღარ შეუძლია დაეხმაროს რაიმე იდეის ან საერთო საქმის განხორციელებას...***

„კონკრეტულ გარემოში იბადებიან მხოლოდ ჯალათები და მსხვერპლები, გმირი კი ზედროულია. გმირი იბადება გარემოს ბრძანებების გარეშე. გმირი იძულებულია დასძლიოს სინამდვილე. გმირობას გმირი სჩადის თავისი შინაგანი ეგზისტეციის ხარჯზე, დაძაბულ მდგომარეობაში, გაურბის სინამდვილის ბრჭყალებს და აკეთებს ამაყ არჩევანს... მაგრამ მისი უბედურება იმაშია, რომ, ის ასე თუ ისე, მაინც კავშირშია გარემოსთან. სინამდვილესთან გმირმა კავშირი უნდა გაწყვიტოს, რომ არ დაემგვანოს იმ სხვებს... იმიტომ, რომ სხვები ჯალათები არიან, ან მსხვერპლნი, ან ცინიკოსები, ან მშიშრები...“

* * *

კიდევ ერთი ფრაგმენტი რუსუდან ქვლივიძის დღიურიდან:

„მიტინგები, რომლებიც ბოლო დროს იმართებოდა, მთელი ჩემი შეგნებით, სულით და გულით მიზიდავდა. იმიტომ, რომ ყველა სფეროში ამდენი სიყალბის, უსამართლობის და ჩაგვრის გარემოში მხოლოდ მიტინგებზე ისმოდა სიმართლე. მხოლოდ ამიტომ მინდოდა იქ დარჩენა და არა იმიტომ, რომ იქ კარგი ორატორები საუბრობდნენ. სულაც არა, ჩემი აზრით, მათი ხიბლი მხოლოდ სითამამეში იყო, ისინი ბედავდნენ ხმამაღლა ეთქვათ ის, რასაც ყელანი ვფიქრობდით ათეული წლების მანძილზე...

8 აპრილს საღამოს, სპეციალურად ადრე დავიძინე, რომ ღამით სამი-ოთხი საათისთვის მიტინგზე გავსულიყავი. ვიცოდი, რომ ხალხი გათენებამდე, მიუხედავად დიდი სურვილისა, ყოველთვის ვერ ძლებდა. ვშიშობდი, დილისთვის, ხალხის ნაკლებობა რომ იქნებოდა, არ დაერბია ხელისუფლებას. ამიტომ ჩემი სხეულის იქ არსებობა ანუ ყოფნა, გამთენიისას უფრო საჭიროდ მიმაჩნდა.

იმ ღამეს განსაკუთრებულად ლამაზი, სულით ამაღლებული ატმოსფერო სუფევდა...

დამოუკიდებლობის მოთხოვნა: ეს ხომ ბუნებრივი გრძნობაა და ამისთვის შეუძლებელია, დაგსაჯონ მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეების მიჯნაზე...

ო, რა სილამაზე სუფევდა გამთენიისას... მხურვალედ ვილოცეთ, შევფიცეთ ერთურთს საქართველოს თავისუფლებისთვის თავდადება...

თითქოს არც კი ვგრძნობდით საშიშროებას. პატრიარქმა გაგვაფრთხილა და მაინც ვერ დავიჯერეთ, რომ ამ ამაღლებული განწყობილების დამრღვევი ვინმე ან რამე შეიძლებოდა ყოფილიყო...

ამოდენა ზღვა ხალხში ცოტა ხნით ისეთი წმინდა სიჩუმე ჩამოწვა, რომ მთავრობის სახლის ეზოდან ჩანჩქერის საამო რაკრაკიც კი გაისმა... ბაღში ჩიტი გალობდა...

ღმერთო, რა კარგი იყო... დავიჯერეთ, რომ სანუკვარი ბედნიერება შეიძლებოდა დამდგარიყო...

და გამოჩნდნენ რუსის ტანკები... მათი ყური ხომ დახშულია ამაღლებულის მოსმენისთვის.

ხალხი ორად გაიყო. შემჭიდროვდნენ. ეგონათ, გზას მისცემდნენ და ტანკები გაივლიდნენ... მაგრამ ამ ტანკებს ხალხი შემოჰყვა რკინის ხელკეტებით.

სამხედროებს თავზე რკინის კასკები ეხურათ. რაღაც ამაზრზენი სახეები მოუჩანდათ.

ჯარი წინასწარ მოფიქრებული ნახაზით მოქმედებდა. ორმწკრივად გამოემართნენ თავიანთი რკინის ფარებით, რკინის კედელი შექმნეს, მერე მოგვაწყდნენ და თან ხელკეტები დაგვიშინეს.

პერპენდიკულარულად კიდევ ერთი რკინის კედელი მოიწევდა ჩვენსკენ, მაგრამ წინა ჯარისკაცებისგან განსხვავებით, ხელკეტების ნაცვლად ხელში ალესილი ნიჩბები ეჭირათ. ზოგმა მათგანმა თავიანთ კასკებზე და ფარებზე ააჟღარუნეს ნიჩბები, რომ ჩვენ კარგად გვეგრძნო ეს სახუმარო იარაღი არ იყო..

ამან მართლაც გამოიწვია მათი სასურველი რეაქცია – ჩვენი ძრწოლა და ვინც იჯდა, ისიც ზეწამოიჭრა. ერთმანეთის ზურგებს ჩამოეკიდნენ. ჯარისკაცებმა მიგვჭყლიტეს ერთ ადგილას, სუნთქვა შეგვეკრა. სადღაც გვერდით ისმოდა გოგოების განწირული კივილი. მარწუხები მატულობდა, ძლივს ვსუნთქავდით, მე სადღაც შუაში აღმოვჩნდი. აქ ამოხრჩობას მერჩივნა, ჩემთვისაც ნიჩბით გაეპოთ თავი.

მთელი საშინელება მაშინღა აღვიქვი, როცა მივხვდი, რომ მათ ჩვენი დარბევა კი არ ჰქონდათ განზრახული, არამედ ადგილზე ჩახოცვა. გასაქცევი გზა სრულიად მოგვისპეს. საზარელი კვნესა, კივილი უფრო ნიჩბოსნების მხრიდან ისმოდა. მივხვდი სამხედრო რეჟისურის ნახაზი ჩვენი დახოცვის პოლიტიკას ახორციელებდა: ხელკეტებს ორივე გვერდიდან თავებში სცემდნენ ხალხს. პროსპექტის მხრიდან განლაგებული იყვნენ ნიჩბოსნები, ადამიანთა ჩეხვა-ჩეხვით წინ მიიწევდნენ. ცდილობდნენ, ფარებით კედელი არ გარღვეულიყო და ისე შეევიწროებინათ, რომ შუაში ვინც ვიყავით, ისინიც ამოვჭყლეტილიყავით, იქვე დავხოცილიყავით. ესეც დიდებული ჩანაფიქრი იყო: ვითომ ხალხმა ერთმანეთი ამოჭყლიტა, ამოხოცა... რაც ცინიზმია, რა სისასტიკეა!..

(აქ ჩანაწერი წყდება).

ფოტოებზე: სცენები მეტეხის თეატრის სპექტაკლებიდან



გერმანელები ერიდებიან რუსეთის დასჯას

სტატისტიკა პროცენტებში

გერმანელებს სურთ, უკრაინელებს გვერდში დაუდგნენ, მაგრამ რუსეთისთვის სანქციების დაწესებას და მის მიმართ მილიტარისტულ ნაბიჯებს უფრთხიან.

უკრაინაში კრიზისის გამწვავება აშფოთებთ გერმანელებს. თვით ისეთი ყველაზე რბილი ღონისძიებები რუსეთის მიმართ, როგორიცაა ეკონომიკური სანქციები, გერმანელების მიერ ძირითადად უარყოფილია. მხოლოდ 38 პროცენტი უჭერს მხარს რუსეთის მიმართ ასეთი ღონისძიების შემოღებას. მხოლოდ და მხოლოდ 12 პროცენტი თვლის, რომ რუსეთის მიერ ჩაგრული უკრაინის დახმარება სამხედრო გზით უნდა მოხდეს. 84 პროცენტი კი ასეთი ნაბიჯის საჭიროებას კატეგორიულად უარყოფს.

თვით ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დასმული საკითხი რუსეთის დიდი რვიანიდან გარიცხვის თაობაზე, გერმანელთა 77 პროცენტისთვის მიუღებელია. დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტას 92 პროცენტი არ უჭერს მხარს. უმეტესობა (72 პროცენტი) უპირატესობას ანიჭებს უკრაინისთვის ეკონომიკური და ფინანსური დახმარების გაწევას. გამოკითხვა გერმანიის საზოგადოებრივი მაუწყებელმა და გაზეთმა „დი ველტმა“ ჩაატარეს.

ამავე გამოკითხვით, უმრავლესობა თვლის, რომ კონფლიქტის მოგვარება ჯერ კიდევ შესაძლებელია მშვიდობიანი მეთოდებით. თუმცა, ასე მიაჩნია არც თუ ისე მცირე ნაწილს გერმანული საზოგადოებისა. 31 პროცენტს აშინებს აღმოსავლეთ ევროპაში შეიარაღებული დაპირისპირების სინამდვილედ ქცევა. 58 პროცენტს მიაჩნია, რომ გერმანია უკრაინას უნდა თანაუგრძნობდეს, მაგრამ გამოკითხულთა 37 პროცენტი თვლის, რომ ორმა სახელმწიფომ სადავო საკითხები თვითონ უნდა მოაგვაროს, საგარეო ჩარევების გარეშე.

მიმდინარე მოვლენები ყირიმში მნიშვნელოვნად აზარალებს პრეზიდენტ პუტინს და მისი ქვეყნის სახელს გერმანიაში. 81 პროცენტს მიაჩნია, რომ რუსეთი არასანდო პარტნიორია და მხოლოდ 15 პროცენტი ფიქრობს ამის საპირისპიროდ.

გერმანელების უმრავლესობა თვლის (60 პროცენტი), რომ უკრაინის სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა უნდა შენარჩუნდეს, მაგრამ მათი დიდი ნაწილი უშვებს იმ სამწუხარო შესაძლებლობას, რომ განვითარებული მოვლენების შედეგად უკრაინა, შესაძლოა, ორად გაიყოს.

წყარო: გაზეთი „di welt“ 07.03.2014

რელიგიური უფლებების დასაცავად...

ახალი ამერიკული რეალობა

ამერიკის შტატ არიზონას ახალი კანონმდებლობით რელიგიური მოსაზრებების გათვალისწინებით, დაწესებულებებს ევალებათ მამათმავალი კლიენტურის იგნორირება. პარლამენტის მიერ მომზადებული ეს კანონი – „რელიგიური უფლებების დასაცავად“, წინა პარასკევს შტატის გუბერნატორს – ჯენიზ ბრიუერს გადაეცა ხელმოსაწერად. რელიგიური უფლებების კანონი განივრცობა როგორც ცალკეულ ინდივიდებზე, ასევე „ჯგუფებზე, გაერთიანებებზე, პარტნიორულ ორგანიზაციებზე, საწარმოებსა და ფირმებზე, ეკლესიებზე, რელიგიურ ჯგუფებსა და ინსტიტუტებზე და სხვა სახის კრებულებზე“.

ჯენის ბრიუერი ბარაკ ობამასთან, თეთრ სახლში

რესპუბლიკელთა წარმომადგენელმა სტივ მონტენეგრომ დაიცვა ამ კანონის საჭიროება გაზეთ „არიზონას რესპუბლიკაში“ („არიზონა რეპუბლიკ“): „ჩვენ ვცდილობთ ადამიანების რელიგიური უფლებების და თავისუფლებების დაცვას. არ გვინდა, რომ მთავრობა ვინმეს აიძულებდეს, თავისი ღრმა რელიგიური რწმენის საწინააღმდეგოდ იმოქმედოს.“ დეპუტატის აზრით, ამგვარად შესაძლებელი იქნება მაგალითისთვის მომავალში, ქორწილების ფოტოგრაფები გაფრთხილდნენ, რადგან მათ ეცოდინებათ, რომ ჰომოსექსუალური წყვილის ქორწილის გადაღება მათთვის იურიდიული შედეგების გარეშე არ ჩაივლის.

კანონის მოწინააღმდეგენი ჩივიან, რომ ამით გზა გაეხსნება ადამიანების დისკრიმინაციას. „ეს კანონი სხვების თვალში არიზონას წარმოაჩენს, როგორც არატოლერანტულ, არასტუმართმოყვარე შტატს“, – განმარტა სამოქალაქო უფლებების ორგანიზაციამ – „ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ადამიანი, რომელიც სუპერ ბოულის საყურებლად მოვიდა, რესტორანში შესვლის უფლება არ ჰქონდეს“, – განაცხადა წარმომადგენელმა რუბენ გალეგომ.

ჯერჯერობით არ არის ცნობილი, დათანხმდება თუ არა ჯენიზ ბრიუერი კანონის ძალაში შეყვანას. ბრიუერმა შარშან ვეტო დაადო ამ კანონის მსგავს სხვა კანონს. თუმცა მაშინ გუბერნატორმა უფრო პოლიტიკური ურთიერთდაპირისპირების ნიადაგზე მიიღო ასეთი გადაწყვეტილება და არა უშუალოდ კანონის შინაარსიდან გამოდინარე.

სტივ მონტენეგრო

წყარო: ჟურნალი „შტერნი“ (გერმანია) 22.02.2014

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ყირიმში პროცესების განვითარების სავარაუდო სცენარებზე „ინტერპრესნიუსი“ მოსკოვის მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის წამყვან მეცნიერთანამშრომელს, რუსეთის სათათბიროს ორი მოწვევის ექსდეპუტატს, სათათბიროს საგარეო და ურთიერთობებისა და უსაფრთხოების კომიტეტების ხელმძღვანელის ექს-მოადგილეს ალექსეი არბატოვს ესაუბრა.

— ბატონო ალექსეი, როგორ შეაფასებდით ყირიმში არსებულ ვითარებას მას შემდეგ, რაც რუსეთმა ნახევარკუნძულის ტერიტორიაზე სამხედრო ძალები შეიყვანა? ასევე, როგორ შეაფასებდით რუსეთის მოქმედებებზე დასავლეთის რეაქციას და ამ რეაქციაზე რუსეთის პასუხს, რაც პრეზიდენტმა პუტინმა უკრაინის საკითხისადმი მიძღვნილ სპეციალურ პრესკონფერენციაზე გააკეთა?

— რუსეთს ყირიმში ჯარები არ შეუყვანია, როგორც ეს 2008 წელს სამხრეთ ოსეთში მოხდა. იქ არ ყოფილა სატანკო კოლონები, „ბეტეერები“. ასე რომ, ყირიმში რუსეთს თავისი სამხედროები არ შეუყვანია. იქ დღემდე გაუგებარი ფორმირებები მოქმედებენ, აქამდე ისიც არ გარკვეულა, ადგილობრივები არიან ისინი თუ ჩასულები. ვიმეორებ, რუსეთს ჯარები არსად არ შეუყვანია. შესაძლოა, ეს რაღაც ოპერაციაა ან- და ადგილობრივების თვითშემოქმედება. ამიტომ, საუბარი იმაზე, თითქოს დადასტურებული ფაქტია, რომ რუსეთმა ყირიმში ჯარები შეიყვანა, არ შეიძლება. თუ ჰიპოტეტურად წარმოვიდგენთ, რომ ყირიმში შესული ძალები რუსეთის ძალოვან სტრუქტურებთან არიან დაკავშირებული, თავად ის ფაქტი, რომ ყირიმში არაფერი ხდება, იმაზე მიუთითებს, რომ რუსეთს არ სურს ვითარების გამწვავება. რაც ახლა იქ ხდება, არაა არც ჩეხოსლოვაკიაში ან სამხრეთ ოსეთში ჯარების შეყვანა, არამედ საქმე გვაქვს სულ სხვა ტიპის მეთოდთან.

— დავუშვათ, რომ ყირიმში დღეს, როგორც თქვენ ბრძანეთ, „გაუგებარი ფორმირებები“ აქტიურობენ, მაგრამ ის როგორ შეიძლება გავიგოთ, რომ ამავე ფორმირებებს უფროსი ოფიცრები უკრაინელ სამხედროებისგან დანებებას და რუსეთის მხარეზე გადასვლის შემთხვევაში „ძალალ ხელფასებს“ ჰპირდებიან? ალბათ იცით, რომ ადგილობრივები ჩამოსულებს „იარაღიან პოლიტიკურ ტურისტებს, აგიტატორებსა და პროვოკატორებს“ უწოდებენ. და სწორედ ეს ადამიანები აკონტროლებენ დღეს ყირიმს. თქვენ ამგვარ ვითარებას რას უწოდებდით?

— გეთანხმებით, რომ ახლა ყირიმში რთული ვითარებაა და მასში გარკვევა ძალიან ძნელია. ყირიმში განლაგებული უკრაინის თავდაცვის სამინისტროს მთელი რიგი ქვედანაყოფები კიევის ხელმძღვანელობას არ ემორჩილებიან...

— როგორ შეაფასებდით უკრაინელ ჯარისკაცთა მოქმედებებს, რომლებიც ოფიციალური კიევის მიერ შემუშავებული ტაქტიკით ცეცხლს არ უხსნიან „გაუგებარ ფორმირებებს“, მაგრამ მათ არც უკრაინული ქვედანაყოფების ნაწილის ტერიტორიაზე აძლევენ შესვლის საშუალებას?

— ძალიან კარგია და მიმაჩნია, რომ ამგვარი მოქმედება დადებითია. შესაძლოა, ეს იმას უკავშირდება, რომ ახლა კიევი უმძიმეს ეკონომიკურ მდგომარეობაში იმყოფება, ახალი მთავრობის ლეგიტიმურობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, რომლის არჩევაში მონაწილეობა უკრაინის მთელ მოსახლეობას არ მიუღია. ანუ, ახალ მთავრობას ომის წარმოება არ შეუძლია, მაგრამ მაინც უკრაინის დღევანდელი ხელისუფლების ამგვარი გადაწყვეტილება დასაფასებელია, როგორც გონივრული პოლიტიკური ნაბიჯები.

— ალბათ, ახლა ყველაზე მნიშვნელოვანია, თუ რა იქნება მომავალში. თქვენი აზრით, როგორია მოვლენათა შემდგომი განვითარების სცენარი?

— როგორც ბუშმა-უმცროსმა თქვა, ძალიან ძნელია პროგნოზის გაკეთება, განსაკუთრებით - მომავლის. რამდენიმე სცენარი იკვეთება. თუ დაიწყო პროცესის დამშვიდებისა და მშვიდობიანი მოგვარების პროცესი, ასეთ შემთხვევაში მოვლენები სულ სხვა სცენარით განვითარდება. თუ დაიწყო პროცესის ესკალაცია, მაშინ, რასაკვირველია, სხვა სცენარია მოსალოდნელი. ჩემი აზრით, ახლა ბევრი რამ დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ იმოქმედებენ უკრაინის პოლიტიკური ძალები და როგორ განვითარდება ურთიერთობა დასავლეთსა და რუსეთს შორის და რუსეთსა და აშშ-ს შორის.

პუტინის მიერ პრესკონფერენციაზე გაკეთებულ განცხადებებს შეიძლება არ დაეთანხმო, ნაწილს შეიძლება დაეთანხმო, ზოგი ეჭვის ქვეშ დააყენო, მაგრამ ის, რომ ეს იყო სიგნალი დაძაბულობის შეწყვეტისკენ მიმართული და უფრო კონსტრუქციულ დიალოგში გადაყვანის მცდელობა, ფაქტია.

აშკარაა, რომ დიალოგი რთული იქნება, მაგრამ ეს რომ დიალოგისკენ მიმართული სიგნალი იყო, ეჭვს არავისში არ იწვევს.

ჩემი აზრით, დასავლეთს და, განსაკუთრებით ამერიკას, რუსეთთან დაპირისპირების დიდი ინერცია აქვს აღებული და მათ აღარ შეუძლიათ ამის ასე უბრალოდ შეჩერება. ახლა საქმე ისაა, თუ რამდენად შორს წავა ვაშინგტონი რუსეთთან დაპირისპირებაში. ახლა ბურთი ამერიკის მხარესაა. თუ ვაშინგტონი ისე მოიქცევა, როგორც ეს მოხდენილად თქვა პუტინმა - „ბურღით მიაწვებიან“ და გაგრძელებენ საუბარს იზოლაციაზე, სანქციებზე და კონტაქტების გაწყვეტაზე, საბანკო ანგარიშების გაყინვაზე, ეს რუსეთის მხრიდან საპასუხო რეაქციას გამოიწვევს, ვინაიდან სასწორზე დადებული აღმოჩნდება ქვეყნის პრესტიჟი და ნაციონალური თავმოყვარეობა.

თქვენ იცით, რომ მე არ გახლავართ პრეზიდენტ პუტინის მხარდამჭერი, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობა პრეზიდენტ პუტინს უკრაინის საკითხში მხარს უჭერს.

პუტინი საზოგადოებაში არსებული განწყობების გამო იძულებულია, გადადგას ის ნაბიჯები, რასაც უკრაინასთან დაკავშირებით დგამს

პუტინმა რომ ახლა ამ განწყობებით რეალურად იხელმძღვანელოს, მაშინ, ერთი მხრივ, უკიდურესად დაიძაბება ვითარება დასავლეთსა და რუსეთს შორის და, მეორე მხრივ, თავად უკრაინის სხვადასხვა ნაწილებში დაიწყება, როგორც რეფერენდუმების, ისე დამოუკიდებლობის გამოცხადების პარადები. ასეთ ვითარებაში ხელისუფლებას რაღაცის გაკეთება მოუწევს და სისხლი აუცილებლად დაიღვრება. ეს მოვლენათა განვითარების ყველაზე ცუდი სცენარია.

— თქვენთან დარეკვამდე წავიკითხე, რომ ყირიმში რუსეთიდან ჩასული სამოქალაქო პირები იცვამენ უკრაინული ჯარის ფორმებს და საზიზღრობებს სჩადიან. გამოდის, ამგვარი ვითარების გაგრძელება რუსეთს აწყობს, მაგრამ ამის მიზანი რაა?

— თუ მოვლენათა განვითარების მეორე სცენარი ამოქმედდა და სამხედრო დაპირისპირება რეალურად დაიწყო, ბევრი სისხლი დაიღვრება, ვინაიდან უმართავი პროცესები დაიწყება არა მხოლოდ უკრაინის აღმოსავლეთ რაიონებში.

— უკაცრავად, მაგრამ საომარ მოქმედებებს ვინ დაიწყებს? რამდენადაც ვხვდები, უკრაინელები რუსეთთან ღია დაპირისპირების დაწყებას არ აპირებენ?

— თუ დაიწყო უკრაინიდან რეგიონების გამოყოფა, მაშინ ამას ჯაჭვური რეაქცია მოჰყვება. თუ უკრაინის რეგიონებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს და დახმარებისთვის რუსეთს მიმართეს, მაშინ შეიარაღებული დაპირისპირება აუცილებლად დაიწყება. ასეთ ვითარებას არ შეეგუება ისეთი სუსტი ხელისუფლება, როგორიც ახლა უკრაინას ჰყავს და წინააღმდეგობის გაწევას დაიწყებს. თუ ასეთ ვითარებაში ხელისუფლებამ წინააღმდეგობის გაწევაზე უარი თქვა და არ გამოიყენა მის დაქვემდებარებაში მყოფი უკრაინული არმიის დარჩენილი ძალები, მას კიევში მოქმედი პროფაშისტური და რადიკალური ძალები აუცილებლად ჩამოაგდებენ. ასეთ შემთხვევაში, რუსეთი იძულებული იქნება, მართლაც შეიყვანოს უკრაინაში თავისი შეიარაღებული ძალები.

— უკრაინის ახალმა ხელისუფლებამ უკვე განაცხადა, რომ მზად არის, დაიწყოს დიალოგი მოსკოვთან. რუსი პოლიტიკოსებისა და ექსპერტების განცხადებებითა და კომენტარებით თუ ვიმსჯელებთ, რჩება შთაბეჭდილება, რომ კრემლი უკრაინის ახალ ხელისუფლებას სთავაზობს კიევსა და ყირიმს შორის ურთიერთობების ახალ მოდელს, საუბარია უკრაინის ფედერალურ თუ კონფედერაციულ მოწყობაზე. შეიძლება ითქვას, რომ კრემლი უკრაინასთან დაკავშირებით ამის მიღწევას ცდილობს?

— ვფიქრობ, რომ ეს ერთ-ერთი ვარიანტია. არ ვიცი, რა გეგმა ჰქონდა პუტინს, როცა ფედერაციის საბჭოს უკრაინაში ჯარის შეყვანის მოთხოვნით მიმართა. უმჯობესი იქნებოდა, ჯერ გაგვეგო იმის შესახებ, რომ იანუკოვიჩმა მოითხოვა თუ არა უკრაინაში ჯარების შეყვანა. შეიძლება ითქვას, რომ ეს რუსეთის ხელისუფლების შეცდომა იყო. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ იანუკოვიჩის წერილი არ იყო და მერე გაჩნდა; ასევე შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ რუსეთის ხელისუფლება იმპროვიზებულად მოქმედებდა.

— კიევში პოლიტიკური პროცესი მას შემდეგ გამწვავდა, რაც რუსეთის ზემოქმედებით პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა უარი თქვა უკრაინის ევროპასთან ინტეგრაციაზე. მას შემდეგ, რაც უკრაინაში მოხდა, რუსეთი კვლავაც გააგრძელებს კიევისაგან უკრაინის რუსეთ-ბელარუსულ-ყაზახურ საბაჟო კავშირში გაწევრების მოთხოვნას?

— რას ამბობთ, ამან ყველაფერმა ჩაიარა, ეს რელევანტური ორი თვის წინ იყო. ახლა ამაზე საუბარი არაა. ახლა საუბარია იმაზე, თუ როგორ ავიცილოთ სისხლისღვრა, უკრაინის გახლეჩა, დასავლეთსა და რუსეთს შორის ახალი „ცივი ომი“. რა თქმა უნდა, რუსეთს უნდა, რომ უკრაინა არ გამოეყოს რუსეთს, შეინარჩუნოს მასთან მჭიდრო ეკონომიკური კავშირები, რომ უკრაინაში დაცული იყოს რუსულენოვანი მოსახლეობის უფლებები.

სხვათა შორის, რუსულენოვანი მოსახლეობის უფლებები მყისიერად დაირღვა, როცა კიევში გადატრიალება მოხდა. დღეს რუსეთი უკრაინისგან იმას ითხოვს, რაც მე უკვე ჩამოვთვალე. ჩემი აზრით, უკრაინის საბაჟო კავშირში გაწევრებაზე რუსეთი უკვე აღარ ფიქრობს.

— პრობლემა ის ხომ არაა, რომ პრეზიდენტი პუტინი უკრაინელებს ცალკე ერად არ განიხილავს? მას არაერთხელ განუცხადებია, რომ „უკრაინელები და რუსები ერთი ხალხია“. რჩება შთაბეჭდილება, რომ კრემლისთვის უკრაინის, როგორც სუვერენული სახელმწიფოს, არსებობაა მიუღებელი...

— მე ასე გიპასუხებთ. პირადად მე, ნახევრად უკრაინელი ვარ. ძნელი დასათვლელია, მაგრამ რუსეთში ათეულობით მილიონი ადამიანია, რომლებსაც აქვთ უკრაინული წარმომავლობა, მათში უკრაინული სისხლი ჩქეფს ან უამრავი უკრაინელი ნათესავი ჰყავთ. რასაც პირობითად რუსი და უკრაინელი ჰქვია, პრინციპულად ეს ერთი ხალხია, მაგრამ მათ არ აქვთ ერთი სახელმწიფო, არამედ უკრაინა და რუსეთი ორი სახელმწიფოა და ეს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს. სამწუხაროდ, რუსეთი უკრაინის სახელმწიფოებრიობისადმი პატივისცემის გამოხატვას ყოველთვის როდი ახერხებს. რუსი პოლიტიკოსები ხშირად აკეთებენ უკრაინისათვის შეურაცხმყოფელ განცხადებებს, რომელთა დეზავუირება რუსეთის უმაღლესი ხელისუფლების მიერ არ ხდება. ჩემი აზრით, ეს დიდი პრობლემაა. თუ რუსეთი უკრაინას, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, პატივს სცემს, უკრაინასა და რუსეთს შორის ურთიერთობები ყოველთვის კარგი და ახლობური იქნება.

— ბოლო მოვლენებს ისეთი პირი უჩანს, რომ რუსეთი არ აპირებს 1994 წლის ბუდაპეშტის შეთანხმების შესრულებას, რომლის თანახმადაც, უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის გარანტი აშშ-ისა და ბრიტანეთის გარდა, რუსეთიცაა?

— რუსეთი ამ შეთანხმებას არ არღვევს, ვინაიდან უკრაინისთვის არ წაურთმევია არც ყირიმი და არც დონბასის ოლქი. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმ „გაუგებარი ფორმირებების“ შესახებ, რომლებიც ახლა ყირიმში მოქმედებენ, მაგრამ ეს არ არის არც ჯარების სუვერენულ სახელმწიფოში შეყვანა და არ არის არც ოკუპაცია. ამგვარი მტკიცება აშკარად გადაჭარბებულია და რუსეთი 1994 წლის შეთანხმებას ასრულებს.

— გამოდის, რომ რუსეთი 1994 წლის შეთანხმების შესასრულებლად კიევს გარკვეულ პირობებს უყენებს?

— თუ ყურადღებით წაიკითხავთ 1994 წლის შეთანხმებას, ნახავთ, რომ მხარეები უკრაინიდან ბირთვული იარაღის რუსეთში გატანისა და შემდგომ მათი ლიკვიდაციის სანაცვლოდ უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის გარანტორები ხდებიან, თუ უკრაინა დაიცავს გაეროს წესდებას, მათ შორის იმ ნაწილში, რაც რუსულენოვანი მოსახლეობის დაცვას ეხება. ეს შეთანხმება სულაც არ ნიშნავს, რომ უკრაინას რაც მოესურვება, თავის ტერიტორიაზე იმას გააკეთებს. მაგალითად, კიევს არა აქვს უფლება, ყირიმში შეიყვანოს თავისი ჯარები და იქ ანგარიშწორების სისხლიანი ოპერაცია ჩაატაროს.

— უკაცრავად, რომ მიწევს „გაუგებარი ფორმირებების“ თემისადმი დაბრუნება. თქვენი შეფასებით, ვინ აკონტროლებს დღეს ყირიმის ნახევარკუნძულს?

— ყირიმს დღეს ამავე ნახევარკუნძულზე მცხოვრები ადამიანები აკონტროლებენ. კიევის მაიდანზე რომ ყირიმის მცხოვრებლებიც ყოფილიყვნენ, გარწმუნებთ, ახლა ყირიმში „გაურკვეველი ფორმირებები“ ვერც ვერაფერს გააკეთებდნენ. ყირიმის მოსახლეობის დამოკიდებულება უკრაინის ახალი ხელისუფლებისადმი უარყოფითია და მათ გადაწყიტეს ყირიმში ვითარების თავად გაკონტროლება.

— რაშიც მათ რუსეთის სამხედრო ქვედანაყოფები ეხმარებიან...

— ამ პროცესში ვინ მონაწილეობს და ვინ მიეტმასნა ადგილობრივებს, მართლაც გაურკვეველია. ის, რომ იქ ადგილობრივები თავდაცვით ჯგუფებს ქმნიან, ეს უკვე შედეგია და არა მიზეზი.

კოგა გენდელიანი

დედამიწის ზურგზე

ნიდერლანდი გახდა ევროპის მორიგი ძვეყანა, რომელმაც გაყინა იანუკოვიჩისა და მასთან დაახლოებული პირების ანგარიშები

ქვეყნის ფინანსთა მინისტრმა იერუნ დეისელბლუმმა განმარტა, რომ საკითხი შეეხება აქტიურ პირებს „თვრამეტის სიიდან“, რომელთა ანგარიშების გაყინვაც ხუთშაბათს მოიწონა ევროკავშირის ექსტრემალურმა სამიტმა. სამშობლოში ექსჩინოვნიკებს ბრალს სდებენ სახსრების დატაცებაში უკრაინის ბიუჯეტიდან და მათი გატანის შესახებ ქვეყნის გარეთ.

* * *

კანადა უკრაინის საკითხზე რუსეთის ფედერაციის პოლიტიკის გამო ძვეშნიდან აძევებს რუს სამხედროებს

ცხრა სამხედრო მოსამსახურემ უნდა დატოვოს ქვეყანა 24 საათის განმავლობაში. ცნობილია, რომ რვა მათგანი სწავლობდა ენას და სხვადასხვა პროგრამას კანადის უმაღლეს სასწავლებლებში, კიდევ ერთი მათგანი ასწავლიდა რუსულ ენას ადგილობრივ კოლეგებს. ადრე ოტავა იტყობინებოდა მოსკოვთან სამხედრო თანამშრომლობის შეჩერების შესახებ.

* * *

აშშ-ში გახსნეს „პუტინის აგენტების“ ამერიკელთა სია, რომლებიც თითძოსდა კრემლთან იმყნენ დაკავშირებული

ამერიკელმა ჟურნალისტებმა „რუსი ჯაშუშები“ მოძებნეს უცხოურ სააგენტოთა რეგისტრაციის შესახებ აქტის ფარგლებში. ეს დოკუმენტი არის რუსეთში მოქმედი კანონის ანალოგი. როგორც იტყობინებიან, კომპანიები, რომლებზეც მუშაობდნენ ამერიკელები, რუსეთის ფედერაციისგან მილიონობით ჰონორარს ღებულობდნენ ინტერესების ლობირებისთვის.

* * *

სნოუდენმა აშშ-ის ერთვნულ უშიშროებას მილიარდობით დოლარის ზარალი მიაყენა

როგორც კონგრესზე მოსმენის დროს ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსების კომიტეტის თავმჯდომარემ გენერალმა მარტინ დემპსიმ განაცხადა, უწყებათაშორის ჯგუფს ზარალის შეფასებისთვის „მოუწევს იმუშაოს დაახლოებით ორი წელიწადი, და ეს უკვე მეტყველებს პრობლემის მასშტაბებზე“.

◎ გზაგასაყარი

უცებცხლოდ გაჩნდა „კვაძლი“, თუ...

საქართველოში სტუმრად მყოფი ევროპელი დიდმოხელეები განმარტებას განმარტებაზე აკეთებენ ასოცირების ხელშეკრულების გამო. უწინარესად, ეს ეკონომიკურ მიმართულებას ეხება. საქმე ისაა, რომ ევროპიდან მისაღები სარგებლის თაობაზე გარკვეული ეჭვები უკვე გაჩნდა.

საქართველოში ვიზიტად მყოფი ევროკომისრის შტეფან ფულეს განცხადებით, ასოცირების ხელშეკრულების გარშემო ბევრი არასწორი მითია, რომელთა გაბათილებას იგი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან შეხვედრისას შეეცადა.

მისი თქმით, მითია ის, რომ საქართველოში იქნება იმპორტის შემოდინება ევროკავშირიდან. ეს სწორი არ არის, რადგან ხელშეკრულება ორმხრივია, რაც ნიშნავს, რომ არის შესაძლებლობები ქართული ბიზნესისთვის ევროკავშირის ბაზარზე და ასევე ევროკავშირის კომპანიებისთვის – ქართულ ბაზარზე.

„გარდამავალი პერიოდი საქართველოს ეკონომიკას უეცარი ცვლილებისგან დაიცავს. ამ პერიოდის განმავლობაში საქართველო ინარჩუნებს დროებითი უსაფრთხოების მექანიზმების შესაძლებლობას. შიშები არსებობს, რომ ასოცირების ხელშეკრულება გაანადგურებს ქართული ეკონომიკის მთელ სექტორებს, რაც ასე არ არის. ხელშეკრულება ქართულ ეკონომიკას საშუალებას აძლევს ევროკავშირს დაეწიოს კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით და სარგებელი ნახოს მსოფლიოს ყველაზე დიდ ბაზარზე გასვლით“, – განაცხადა ფულემ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან შეხვედრისას.

თუ როგორ შეიძლება ეკონომიკამ სარგებელი ნახოს ევროკავშირში გაწევრებით, ამის საილუსტრაციოდ ფულეს უკრაინისა და პოლონეთის შედარება დასჭირდა. 1990 წელს პოლონეთისა და უკრაინის მთლიანი შიდა პროდუქტი თითქმის იდენტური იყო. ხუთი წლის შემდეგ, ევროკავშირ-პოლონეთის ასოცირების ხელშეკრულების მერე, პოლონეთის მთლიანი შიდა პროდუქტი, უკრაინასთან შედარებით, ოთხჯერ გაიზარდა. მთლიანი უცხოური ინვესტირება უკრაინაში 42%-ით შემცირდა, პოლონეთში კი 66%-ით გაიზარდა.

„არასწორია, მითი იმის შესახებ, თითქოს ევროპულ ბაზარზე ქართული ბიზნესისთვის შესაძლებლობები არ არსებობს. ევროკავშირს 500 მილიონი მომხმარებელი ჰყავს – 100-ჯერ უფრო მეტი, ვიდრე საქართველოს მოსახლეობა. ევროკავშირის მთლიანი შიდა პროდუქტი 2011 წელს 11.3 ტრილიონი იყო. არ არის გასაკვირი, რომ დამოუკიდებელი კვლევების მიხედვით, თავისუფალმა და ყოვლისმომცველმა სავაჭრო ხელშეკრულებამ შეიძლება მოიტანოს ექსპორტის გაორმაგება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისგან ევროკავშირში“, – განმარტა შტეფან ფულემ.

ევროკომისარმა ის მოსაზრებაც უარყო, რომლის მიხედვით, ასოცირების ხელშეკრულებით მხოლოდ დიდი სოფლის მეურნეობები და ინდუსტრიული მწარმოებლები ისარგებლებენ.

ასოცირება და ეკონომიკა – შეთავაზება და ეჭვები

„ქართული კანონები, ევროკავშირთან შესაბამისობაში მოსვლის შემდეგ, პატარა და საშუალო მწარმოებლებს ევროპის დიდ ბაზარზე კონკურენციაში დაეხმარება“, – აღნიშნა მან.

მთელი ეს თავის მართლება და არგუმენტები ფულეს იმიტომ დასჭირდა, რომ საქართველოში უკვე ეჭვის თვალით დაუწყეს ცქერა ევროინტეგრაციიდან მიღებულ ეკონომიკურ სარგებელს. ასეთი მოსაზრება არა მარტო უბრალო მოქალაქეებში გაჩნდა, არამედ საპარლამენტო უმრავლესობის ნაწილშიც.

მრეწველები და მისი ლიდერი გოგი თოფაძე ევროხელშეკრულების პირობების კარგად გაანალიზებას და სხვა ქვეყნების მაგალითების გათვალისწინებას ითხოვენ.

„ძალიან ხშირად ისმის შეფასებები იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენ ევროკავშირის წინააღმდეგ გამოვდივართ. ასე ნადვილად არ არის. პირიქით, ჩვენ მხოლოდ ერთი მოთხოვნა გვაქვს - კარგად გავეცნოთ 1135-გვერდიან ტექსტს და მასზე ხელი ბრმად არ მოვაწეროთ. ვევაჭროთ ევროკავშირს, ჩვენც წავიდეთ დათმობაზე და მათაც დავათმობინოთ. ამ დოკუმენტზე ხელი გაუაზრებლად არ უნდა მოვაწეროთ“, – აცხადებს თოფაძე.

საქართველომ კარგად უნდა გადახედოს იმ ქვეყნების გამოცდილებას, რომლებსაც ევროკავშირში შესვლის შემდეგ პრობლემები შეექმნათ. დეპუტატს უნგრეთის, რუმინეთის და ბულგარეთის მაგალითები მოჰყავს. მას შემდეგ, რაც რუმინეთი ევროკავშირში შევიდა, ქარხნების ნაწილი საწყობებად გადაკეთდა, ხოლო ხელფასებმა 10-15%-ით დაიკლო. უნგრეთში კი ფერმერების რაოდენობა 9-ჯერ შემცირდა და დემპინგური ფასების გამოისობით მთლიანად გაკოტრდა ადგილობრივი წარმოება.

როგორც გოგი თოფაძე აცხადებს, პრობლემები ევროკავშირში მრავალი წლის წინათ გაერთიანებულ ქვეყნებსაც შეექმნათ, მათ შორის, ესპანეთსა და საბერძნეთს.

„პოლონეთმა ძალიან ბევრი დაათმობინა ევროკავშირს და ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ. მე ახლა ვეცნობი დოკუმენტს და ვხედავ, რომ მას დეტალური შესწავლა სჭირდება“, – აცხადებს თოფაძე.

„მრეწველები“ არ გამორიცხავენ, რომ შესაძლოა, ევროპის ასოცირების ხელშეკრულებამ ადგილობრივი მეწარმეების ინტერესები შეზღუდოს.

ბექა დანელია

◎ დავა

მთავარია ცოდნის დონე და პროფესიონალიზმი

უჩა ნანუაშვილი და ნაციონალები ხელისუფლების გადაწყვეტილებას საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრებენ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის გარშემო პოლიტიკურ წრეებში ვნებათაღელვა არ ცხრება. პარლამენტის მიერ მიღებულ საკანონმდებლო რეგულაციებთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა საკონსტიტუციო სასამართლოში გაგრძელდება.

სახალხო დამცველისა და „ნაციონალური მოძრაობის“ გაღიზიანებას კანონის ის ნორმა იწვევს, რომლის გათვალისწინებით, 15 ივნისის არჩევნების შემდეგ, ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა მოხელე დროებითი მოვალეობის შემსრულებლად გამოცხადდება და ისინი უფლებამოსილებას კონკურსის გამოცხადებამდე განახორციელებენ, რომელიც კანონის მიხედვით, არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადებიდან 120 დღის განმავლობაში ჩატარდება.

საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული კანონის საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრებას უჩა ნანუაშვილი აპირებს, რომელიც განმარტავს, რომ კანონი საქართველოს კონსტიტუციას ეწინააღმდეგება, რადგან მისი თქმით, როდესაც საუბარია ათასობით ადამიანის დროებით მოვალეობის შემსრულებლად გადაყვანაზე, ეს ადამიანის უფლებების დარღვევაა.

„სარჩელს საკონსტიტუციო სასამართლოში შევიტანთ, რომელიც იმედია, ადეკვატურ გადაწყვეტილებას მიიღებს. საკონსტიტუციო სასამართლო ის ორგანოა, რომელსაც შეუძლია პარლამენტის მიერ დაშვებული შეცდომა გამოასწოროს. ეს მუხლი საქართველოს კონსტიტუციას ეწინააღმდეგება და თვითმმართველობების საქმიანობას რისკის ქვეშ აყენებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ეს გადაწყვეტილება გადაიხედოს“, – აცხადებს უჩა ნანუაშვილი, რომლის პათოსსაც უმცირესობა იზიარებს.

for.ge-სთან საუბარში ოპოზიციონერი დეპუტატი პავლე კუბლაშვილი განმარტავს, რომ „თვითმმართველობის კოდექსით“ გამგეობებსა და საკრებულოებს იგივე ფუნქციები და ვალდებულებები აქვთ, შესაბამისად, არანაირი საფუძველი არ არის იმისა, რომ საჯარო მოხელეები სამსახურებიდან გათავისუფლდნენ.

„საარჩევნო კამპანიის დროს ივანიშვილი აცხადებდა, რომ არჩევნები გავლენას საჯარო მოხელეებზე არ მოახდენდა, მაგრამ რეალურად, საპირისპირო დავინახეთ.

„მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ ამ საკითხზე მსჯელობა პარლამენტში გავაგრძელოთ და საკანონმდებლო ცვლილება წარმოვადგინოთ, მაგრამ ფაქტია, რომ ხელისუფლების ინტერესი მათდამი ლოიალურად განწყობილი ადამიანების დასაქმებაა“, – აცხადებს კუბლაშვილი, რომლის მსგავსად, პოლიტიკურ მოტივებზე საუბრობს ლევან ბეჟაშვილი.

როცა „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდა, სამინისტროებიდან და თვითმმართველობებიდან ხალხის სახლში გაშვება დაიწყო. მათდამი ლოიალურად დამოკიდებულ ადამიანებს კი დასაქმება უპრობლემოდ შეეძლოთ. პარლამენტმა თვითმმართველობის გარდამავალ დებულებაში ჩაწერა, რომ არჩევნების შემდეგ უკლებლივ ყველა თანამშრომელი გათავისუფლდება, რაც საჯარო სამსახურის აპოლიტიკურობის უგულებელყოფაა“, – აღნიშნავს კუბლაშვილი.

კანონმდებლის განცხადებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონს ომბუდსმენის მსგავსად, საკონსტიტუციო სასამართლოში „ნაციონალური მოძრაობაც“ გაასაჩივრებს.

კანონმდებელი for.ge-სთან საუბარში აღნიშნავს, რომ ცვლილებები მხოლოდ იმიტომ ხორციელდება, რომ თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ საჯარო დაწესებულებებში „ქართული ოცნების“ აქტივისტები დასაქმდნენ.

ბეჟაშვილის მოსაზრებით, თვითმმართველი ორგანოებიდან იმ ადამიანების გაშვება დაუშვებელია, რომელთაც ათწლიანი სტაჟი და კვალიფიკაცია აქვთ.

„ამ საკითხს პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილის და კალაძის მიერ გაკეთებულ განცხადებებს ვუკავშირებ, რომ „ქართული ოცნების“ მომხრეები არაფერზე არ უნდა წუხდნენ, რადგან ისინი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმდებიან. კანონში ცვლილებები სწორედ ამ დაპირების შესასრულებლად ხორციელდება, რაც უდავოდ დარღვევაა“, – დასძენს ბეჟაშვილი.

ოპონენტებისგან განსხვავებით, ვიცე-სპიკერი ზვიად ძიძიგური თვითმმართველობებში რეფორმების გატარებაზე საუბრობს და ამბობს, რომ არავინ არავის სახლში გაყრას არ აპირებს.

„თვითმმართველობებში დასაქმებული ადამიანებიდან 90 პროცენტი კონკურსის გარეშე მიღებულია, რაც კანონის დარღვევაა. თუ სახალხო დამცველი კანონის ახალ ნორმებში დარღვევას ხედავს, მას შეუძლია, საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართოს. ნაციონალები ამბობენ, რომ თვითმმართველობებში „ქართული ოცნების“ ხუთი ათასზე მეტი მხარდამჭერია დასაქმებული და თუ წმენდას ვიწყებთ, ჩვენს კადრებს სახლებში ვუშვებთ? სახლში გაყრას არავინ არავის უპირებს. ვინც მცოდნეა, მათ კონკურსში გამარჯვების შესაძლებლობა აქვთ, მაგრამ ამავე დროს, დასაქმების შანსი ახალ ადამიანებსაც უჩნდებათ“, – განუცხადა for.ge-ს ძიძიგურმა.

ვიცე-სპიკერის ინფორმაციით, ამ დროისთვის, თვითმმართველობებში 13 ათასი ადამიანია დასაქმებული, რომელთა რაოდენობა 1500-ით შემცირდება.

„ნაციონალებმა კადრების შემცირება 2008 წელს დაიწყეს, მაგრამ ცნობილი მოვლენების შემდეგ, მათ საარჩევნო რესურსი სჭირდებოდათ და კადრები გაასამმაგეს. ეს მავნე ტრადიცია უნდა დამთავრდეს“, – დასძინა ძიძიგურმა, რომლის პათოსსაც იზიარებს ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია, რომელიც ამბობს, რომ უჩა ნანუაშვილს მისი მოადგილე შეხვდება.

ნარმანიას ინფორმაციით, ვინაიდან თვითმმართველობის სრულიად ახალი სისტემა შემოდის, ეს ყველაფერი ახალი კონკურსის გამოცხადებას საჭიროებს.

„ჩემი მოადგილე სახალხო დამცველს შეხვდება და ამ საკითხს განიხილავენ. გარდა ამისა, თვითმმართველობებში ადამიანები მუშაობენ, რომლებსაც წლების განმავლობაში კონკურსი არ აქვთ გავლილი და უვადოდ არიან დანიშნულნი, რაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონთან წინააღმდეგობაში მოდის. ამიტომ, მნიშვნელოვანია, ეს საკითხი ისე მოწესრიგდეს, როგორც ეს ცივილიზებულ ქვეყნებშია“, – აცხადებს ნარმანია.

თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს საკონსტიტუციო სასამართლო და შეცვლის თუ არა პოზიციას უჩა ნანუაშვილი, ამის პროგნოზი რთულია, მაგრამ პარლამენტში კანონი უკვე მიღებულია და ის ძალაში 15 ივნისის თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ შევა.

თეონა მანაგაძე

◎ სტუმარი

ჟან-ფრანსუა დომერგი საქართველოში პროექტით ჩამოვიდა

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა უეფას პრეზიდენტის მიშელ პლატინის წარმომადგენელი ჟან-ფრანსუა დომერგი მიიღო.

დომერგი თანმხლებ პირთან ერთად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას სტუმრობს და სპორტის მინისტრსაც შეხვდა. მისი ვიზიტის მიზანია, რომ ქართულ მხარეს გააცნოს პროექტი, რომელიც მიზნად ახალგაზრდა მოთამაშეების დაოსტატებას და მასობრივი ფეხბურთის განვითარებას ისახავს. ხსენებული პროექტი უახლოეს ხანში ასტანაში გასამართ კონფერენციაზე დამტკიცდება.

შეხვედრის დასრულების შემდეგ დომერგმა სპორტის მინისტრს უეფას ჩემპიონთა ლიგის 1/8-ფინალში „ბარსელონასა“ და „მანჩესტერ სიტის“ საპასუხო მატჩზე დასასწრები მოსაწვევი გადასცა.

გიორგი შოთაძე

◎ რაგბი

„ბორჯღალოსანთა“ შემადგენლობა ესპანეთთან მატჩისთვის

გუშინ „ბორჯღალოსნები“ ფრანგული შეკრებიდან მადრიდში გაემგზავრნენ, სადაც ესპანეთთან გასამართი ევროპის ერთა თასის 2014 წლის გათამაშების მორიგი მატჩისათვის მზადებას განაგრძობენ.

შეხვედრა დღეს „ესტადიო ნასიონალ დე რაგბიზე“ (მადრიდის უნივერსიტეტის სტადიონი) ჩატარდება, მატჩის პირდაპირ რეპორტაჟი კი საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხით თბილისის დროით 19 საათიდან დაიწყება.

ტრადიციულად, მატჩამდე 48 საათით ადრე საქართველოს ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა „ბორჯღალოსნების“ სასტარტო შემადგენლობა დაასახელა.

შერკინება

1. ზურაბ ჟვანია, 2. ჯაბა ბრეგვაძე, 3. ლევან ჩილაჩავა, 4. გიორგი ნემსაძე, 5. კოტე მიქაუტაძე, 6. გიორგი თხილაიშვილი, 7. მამუკა გორგოძე, 8. გიორგი ჩხაიძე.

ღერძი

9. ვაჟა ხუციშვილი, 10. ლაშა ხმალაძე.

ხაზი

11. თამაზ მჭედლიძე, 12. მერაბ შარიქაძე, 13. თედო ზიბზიბაძე, 14. ირაკლი მაჩხანელი (კაპ.) 15. მერაბ კვირიკაშვილი.

მარქაფა

16. შალვა მამუკაშვილი, 17. კარლენ ასეიშვილი, 18. ანტონ ფეიქრიშვილი, 19. შალვა სუთიაშვილი, 20. გივი ბერიშვილი, 21. გიორგი ბეგაძე, 22. ლაშა მალაღურაძე, 23. ბექა წიკლაური.

2014 წლის ევროპის ერთა თასი. 2015 წლის მსოფლიო თასის შეარჩევი ეტაპი.

მეორე წრე. მეოთხე ტური.

8 მარტი.

ესპანეთი – საქართველო, რუსეთი – პორტუგალია, რუმინეთი – ბელგია.

საქართველო, რუმინეთი – 33-33, რუსეთი – 18, პორტუგალია – 11, ესპანეთი – 10, ბელგია – 6 ქულა.

კობა კობახიძე

◎ თანამშრომლობა

კომპანია „ოქეი“ საკალათბურთო სუპერლიგის ტექნიკური სპონსორი გახდა

კომპანია „ოქეი“ საკალათბურთო სუპერლიგის ტექნიკური სპონსორი გახდა. მხარეებმა თანამშრომლობა მემორანდუმის გაფორმებით გუშინ დაადასტურეს. ხელშეკრულების გაფორმების ცერემონიალი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში გაიმართა, რის საფუძველზეც კომპანია „ოქეი“ სუპერლიგის ტექნიკურ მხარეს უახლოესი 1 წლის მანძილზე უზრუნველყოფს.

მემორანდუმზე ხელი კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მიხეილ გაბრიჩიძემ და კომპანია „ოქეის“ მმართველმა პარტნიორმა ბაადურ კოპლატაძემ მოაწერეს, რის შემდეგაც „ოქეის“ წარმომადგენელმა ფედერაციის პრეზიდენტისგან სამახსოვრო საჩუქრები – საკალათბურთო ბურთი და სუპერლიგისა და „ოქეის“ ლოგოებით დამშვენებული სათამაშო მაისური მიიღო.

ბეჟან დოლიძე

◎ კალათბურთი

შერმადინი „ოლიმპიაკოსს“ სარგებლიანად დაუბრუნდა

გიორგი შერმადინმა პირეოსის „ოლიმპიაკოსში“ დაბრუნების შემდეგ გუნდის მაისური (ხუთნომრიანი) პირველად მოირგო. ქართველმა ცენტრმა ევროლიგაში მილანის „ემპორიო არმანის“ წინააღმდეგ ითამაშა და თავი საკმაოდ კარგად წარმოაჩინა.

იტალიურ კლუბთან საშინაო შეხვედრაში შერმადინი სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 11 წუთში 9 ქულა და 6 მოხსნა (2 მეტოქის ფარზე) მიითვალა. გიორგიმ 2-ვე ორქულიანი და 6-დან 5 საჯარიმო ჩააგდო, ბურთი არ დაუკარგავს, 2-ჯერ დაჯარიმდა, მის წინააღმდეგ კი თამაშის წესები 3-ჯერ დაირღვა.

მოკლედ, იმ არცთუ დიდ დროში, რაც „ოლიმპიაკოსის“ მთავარმა მწვრთნელმა გეორგიოს ბარძოკასმა დაუთმო, შერმადინმა თითქმის მაქსიმუმი „გამოწურა“.

დასანანი ის გახლავთ, რომ ბერძნულმა კლუბმა საკმაოდ მნიშვნელოვან მატჩში მარცხი (86:88) განიცადა და ეს მისთვის, ევროლიგის მე-2 ეტაპზე მიჯრით მე-3 წაგება იყო.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

მიულერის ცოლის სექსუალური იმედები

გერმანელი ფეხბურთელის თომას მიულერის ცოლი ლიზა მიულერი მეუღლის მხრიდან ღალატს გამორიცხავს და „ბუნდესქვეყნელ“ ჟურნალისტებთან საუბარში გულახდილად ამბობს, რომ ქმრის ასეთი თავდაჯერებული რწმენა პირველ რიგში მათი ურთიერთობიდან გამომდინარე აქვს.

ლიზა მიულერის განცხადებით, თომასი მასთან სექსში მთელ მამაკაცურ ენერგიას ხარჯავს და საეჭვოზე კიდევ უფრო საეჭვოა ის, რომ ლიზასთან კოტრიალის შემდეგ გერმანელ ბურთის მგორებელს სხვა ქალთან დაწოლის თავი ჰქონდეს.

რამდენად ლიგიკურია ლიზა მიულერის ეს თავდაჯერებულობა თავად განსაჯეთ, მაგრამ ჩვენის მხრივ იმას დავამატებთ, რომ რჩეულის მხრიდან ღალატის მიზეზი ხშირ შემთხვევაში მრავალფეროვნების ძიებაა და არა სექსუალური დაუკმაყოფილებლობა. ლიზა მიულერს ამდენ ლაყბობას კი ნაღდად ურჩევნია „კამასუტრა“ გადაშალოს...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ფუტსალი

10 მარტიდან სტუდენტური ლიგის გათამაშება დაიწყება

გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს საპრესკონფერენციო დარბაზში საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციამ ფუტსალის სტუდენტური ლიგის გათამაშების კენჭისყრა გამართა და უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდები ორ ჯგუფად გადაანაწილა.

უმაღლეს ლიგაში 12 გუნდი ითამაშებს, პირველ ლიგაში კი პირველობისთვის 16 გუნდი იბრძოლებს. უმაღლესი ლიგის თამაშები 10 მარტიდან „არენა-2“-ში დაიწყება, ხოლო პირველი ლიგის თამაშები 11 მარტიდან სტუ-ს სპორტდარბაზში. ჩემპიონატი კალენდარული პრინციპით გაიმართება და 19 მაისს დასრულდება. უმაღლესი ლიგიდან ორი გუნდი გავარდება, ერთი კი პლეი აუტს ითამაშებს.

პირველი ლიგიდან ორი უკეთესი მაჩვენებლის მქონე გუნდი გადავა უმაღლეს ლიგაში, მესამეადგილოსანი პლეი აუტში უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად იბრძოლებს. სტუდენტური ლიგის გენერალური სპონსორი კომპანია „ბილაინია“.

მანუჩარ გიორგაძე

გამოსათხოვარი

ზურაბ სარალიძე

გარდაიცვალა ცნობილი საზოგადო მოღვაწე, შესანიშნავი პიროვნება, ბატონი **ზურაბ გიორგის ძე სარალიძე**.

ზურაბ სარალიძე დაიბადა 1932 წლის 11 დეკემბერს ბორჯომის რაიონის სოფელ ახალდაბაში. ბატონმა ზურაბმა გაიარა რთული, მაგრამ სასახელო გზა მშრომელი ადამიანისა.

ბორჯომის სახელოსნო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 15 წელზე მეტ ხანს იმუშავა ხარატად სახელგანთქმულ თბილისის ჩარხმშენებელ ქარხანაში.

ბატონმა ზურაბმა თავისი შრომისმოყვარეობით, წესიერებით, შესაშური გულკეთილობით და დიდი ადამიანობით, მაღალი ავტორიტეტი მოიპოვა არამარტო თავის შრომით კოლექტივში, არამედ მთელს საქართველოში.

ზურაბ სარალიძემ მუშაობის პარალელურად წარმატებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით. მიღებული ჰქონდა მრავალი სახელმწიფო ჯილდო და მადლობა.

1970 წელს ბატონი ზურაბი აირჩიეს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს ჯერ ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრად, ხოლო იმავე წელს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს VIII მოწვევის და 1974 წელს კი IX მოწვევის დეპუტატად და საგარეო საქმეთა კომისიის წევრად.

1977 წელს ბატონ ზურაბ სარალიძეს მიანიჭეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცა ლენინის ორდენი და ოქროს ვარსკვლავი.

აღსანიშნავია, რომ ზურაბ სარალიძე ამ მაღალ წოდებებს და რეგალიებს ქვეყნის და თანამოქალაქეების სასარგებლოდ კარგად იყენებდა, ბევრ ჩვენს თანამოქალაქეს გაუმართა ხელი და დიდი ფინანსური სახსრები მოახმარა საკავშირო ბიუჯეტიდან მრავალ ქართულ საწარმოს თუ ორგანიზაციას.

1979 წელს ბატონი ზურაბი აირჩიეს საქართველოს მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის მუშაკთა პროფესიული კავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარედ, სადაც უფრო ნათლად გამოჩნდა მისი ორგანიზატორული ნიჭი, გამოცდილება და ადამიანებზე ზრუნვის საოცარი თვისებები.

1972-1991 წლებში ბატონი ზურაბ სარალიძე იყო მშვიდობის საბჭოთა ფონდის პრეზიდიუმის წევრი.

პენსიაში გასვლის შემდეგ (2008 წელი) ბატონი ზურაბი აქტიურად ჩაება ვეტერანთა ორგანიზაციების მუშაობაში — იყო ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაციის კოორდინატორი, აგრეთვე, მონაწილეობდა ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირის მუშაობაში და სასარგებლო რჩევებს იძლეოდა და უანგაროდ ეხმარებოდა ამ ორგანიზაციას.

წავიდა ჩვენგან ღირსეული მოქალაქე, დიდი პატრიოტი და კეთილშობილი ადამიანი — უფალმა ნათელში ამყოფოს მისი კეთილი სული.

საქართველოს ენერგეტიკის მუშაკთა
პროფესიული კავშირი,
საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი.

დედა მადონა მგელაძე, მეუღლე ქეთი მღებრიშვილი, შვილები შოთა, ნინო კარტოზიები, რძალი თიკა ჩხეიძე, სიძე იასონ ხიზანიშვილი, შვილიშვილები ქეთევან, მაშა, დავით კარტოზიები, ნიკოლოზ, ანდრია ხიზანიშვილები, და თამარ კარტოზია, სიძე ალექსანდრე ჯავახიშვილი, დისწულები ნინო, გიორგი ჯავახიშვილები, ბიძა ვახტანგ მგელაძე, ბიძაშვილები ქეთევან, ეკატერინე მგელაძეები, ნანა კარტოზია, მამიდაშვილები მაკა, კუკა ბოჭორიშვილები ოჯახებით, დეიდაშვილი ია სურგულაძე ოჯახით, სიდედრი ირინა ჭანიშვილი, ცოლისდა თამრიკო მღებრიშვილი, ქვისლი ირაკლი გვახარია, მძახლები მაია, გოჩა ჩხეიძეები, მზია, ანდრო ხიზანიშვილები, ნინო ჯიქია, მარინა გურგენიძე, უნა, მირა მღებრიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დავით შოთას ძე კარტოზია

პანაშვიდი 9, 10 III, 17 სთ. მისამართი: საბურთალოს ქ. №59ბ (სულხან ცინცაძის 83); III სად. მეორე სართ. გამოსვენება 11 III, 14 სთ. ამაღლების ეკლესიიდან (საბურთალოს სასაფლაოზე).

ვიქტორია სირაძე, ნათელა ვასაძე, ნელი გურგენიძე, ლია ლომიძე, ნათელა ლაღიძე, დალი ბოჯგუა, ლამარა გაგუა, ბელა მაყაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის მადონა მგელაძის შვილის

დავით კარტოზიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

გურამ, გოგი, კოკა მგელაძეები ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან უახლოესი ნათესავის, კეთილშობილი პიროვნების

დათო შოთას ძე კარტოზიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ დედას მადონა მგელაძეს, მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს, უახლოეს ნათესავებს.

◎ ალიან-ჩალიანი

დოკუმენტების მიღებას სახლიდან გაუსვლელად შეძლებთ

სერვისების განვითარების სააგენტოსა და იუსტიციის სახლის ახალი ონლაინ მომსახურებით, მოქალაქეები დოკუმენტებს სახლიდან გაუსვლელად სპეციალური მოწყობილობების საშუალებით მიიღებენ.

ახალი სერვისის პრეზენტაცია გუშინ, იუსტიციის სახლში, სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარემ ლევან სამადაშვილმა და იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილემ ირაკლი ლომიძემ გამართეს. ადგილზე მომსახურების სერვისის მიღება შესაძლებელია თბილისში, რუსთავში, ქუთაისში, ბათუმსა და ხელვაჩაურში. ადგილზე მომსახურებით, მოქალაქეებს შეუძლიათ მიიღონ ბიომეტრული პასპორტი, პირადობის ელექტრონული მოწმობა, დროებითი და მუდმივი ბინადრობის მოწმობა, დროებითი ბინადრობის ელექტრონული მოწმობა ლტოლვილის სტატუსის მქონე პირთათვის და ჰუმანიტარული სტატუტის მქონე პირთათვის, მოახდინონ არასრულწლოვნის რეგისტრაცია, მიიღონ ცნობა სულადობის შესახებ, გაიარონ ახალ მისამართზე რეგისტრაცია და მიიღონ საინფორმაციო ბარათი.

ადგილზე მომსახურების სერვისის მისაღებად განცხადების წარდგენის უფლება აქვს ნებისმიერ სრულწლოვან, ქმედითუნარიან პირს, ვისი იდენტიფიცირებაც შესაძლებელია ელექტრონულ მონაცემთა ბაზის მეშვეობით. ადგილზე მომსახურების სერვისის მისაღებად განცხადების წარდგენა შესაძლებელია ელექტრონულად სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ან იუსტიციის სახლის ვებგვერდის საშუალებით. ასევე განცხადების წარდგენა შესაძლებელია ტელეფონის საშუალებითაც.

ონლაინ რეჟიმში განაცხადის გასაკეთებლად მოქალაქეს საჭიროა ჰქონდეს ვებკამერა, ყურსასმენი და მიკროფონი. ადგილზე მომსახურების საფასურია 100 ლარი, რასაც ემატება თავად საბუთის ღირებულება. საფასურის გადახდა შესაძლებელია ონლაინ რეჟიმში ელექტრონული განცხადების შევსებისას პლასტიკური ბარათის მეშვეობით, ან ნებისმიერ ბანკში ნაღდი ანგარიშსწორებით. ამ უკანასკნელის შემთხვევაში, აუცილებელია განაცხადზე საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის ელექტრონულად ატვირთვა.

„ფეროელები“ ჭიათურელ მაღაროელებს სოლიდარობას უცხადებენ

აძცია ზესტაფონელებმა ჭიათურაში გაფიცული მაღაროელების სოლიდარობის ნიშნად მოაწყვეს. შესვენების დროს, ფეროს მიმდებარე ტერიტორიაზე, ქარხნის თანამშრომლებმა პრობლემებზე ისაუბრეს და ქარხნის მესაკუთრეებს საკუთარი წინადადებები წარუდგინეს.

— ჩვენ კარგად ვიცით, მაღაროელების გაჭირვება. მაღაროელებისგან განსხვავებით, გასული წლის მაისში 2-კვირიანი გაფიცვა ჩვენც გვქონდა, ამიტომ დღეს ჩვენ სოლიდარობას ვუცხადებთ ჭიათურელ მუშებს, — განაცხადეს ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის მუშებმა.

მათივე თქმით, პრობლემები იდენტურია, ჭიათურელების მსგავსად არც მათ ურიგდებათ სპეციალური ტანსაცმელი, არ არის დაცული შრომის უსაფრთხოება, რის გამოც ორი მუშა დაშავდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფეროშენადნობთა ქარხნის პროფკავშირების თავმჯდომარე კახა მაჩიტიძემ განუცხადა, აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ფეროშენადნობი ქარხნის ადმინისტრაციასთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

შპს „კალანდაში“ კარანტინი გამოცხადდა

სურსათის ეროვნული სააგენტო თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, შპს „კალანდაში“ ღორების დაცემის ფაქტთან დაკავშირებით საგანგებო განცხადებას ავრცელებს.

როგორც სურსათის ეროვნულ სააგენტოში განმარტავენ, ფერმაში გამოცხადებულია კარანტინი, ჩატარებულია დეზინფექცია და ამ ეტაპისთვისაც გრძელდება ღონისძიებების გატარება.

— სააგენტოს სპეციალისტები ადგილზე იმყოფებიან და 24-საათიან რეჟიმში მუდმივ მონიტორინგს უწევენ დაავადების ლიკვიდაციის პროცესს. დაცემული ცხოველები განადგურდა ვეტერინარულ-სანიტარიული წესების სრული დაცვით, შესაბამისად, დაავადებული ცხოველების ხორცის ბაზარზე მოხვედრის რისკი არ არსებობს, — ნათქვამია სურსათის უვნებლობის სამსახურის განცხადებაში.

ყალბი დიპლომი - 500 ლარის სანაცვლოდ

შსს-მ ყალბი დიპლომის დამზადებისა და გასაღების ბრალდებით ერთი პირი დააკავა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს, ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის მეოთხე სამმართველოს და ანტიკორუფციული დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონალური სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1959 წელს დაბადებული ნიკოლოზ თ. ყალბი დიპლომის დამზადების და გასაღების ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ნიკოლოზ თ-მ 1975 წელს დაბადებულ ირაკლი მ-ს ელმავლის მემანქანის თანაშემწის ყალბი დიპლომი 500 ლარის სანაცვლოდ დაუმზადა. სამართალდამცველებმა ყალბი დიპლომი და ირაკლი მ-სგან აღებული 500 ლარი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

ამოიღეს დიდი რაოდენობით ნარკოტიკი

სამართალდამცავებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1979 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ავთანდილ თ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში, წყნეთის ქუჩაზე დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 46,083 გრ ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 17,6037 გრ ჰეროინს შეიცავს. ასევე ამოღებულია 1,5515 გრ კანაფის ფისი.

ნარკოლოგიური შემოწმებით დაკავებულს „სუბუტექსის“, მარიხუანის და ოპიუმის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.

ბრალდებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

ინტერპრესი

◎ ფრაზები

სხვათაგან თქმული

მიუსაფარ აზრთა სტრიპტიზი

● თაფლობის თვე მაშინ თავდება, როცა სახლის ჩუსტები ქმრისთვის ძაღლს მიაქვს, ხოლო ღრენას ცოლი იწყებს.

● ცალი ხელით ტაშს ვერ დაუკრავ.

● აღზრდა მეცნიერებაა, რომელიც ჩვენს შვილებს ასწავლის, როგორ უნდა მოიქცნენ უჩვენოდ.

● ცუდი ქორწინებები არ არსებობს, არსებობენ ცუდი მეუღლეები.

● არის მომენტები, როცა ყველაფერი ხელგეწიფებათ, მაგრამ ნუ შეგეშინდებათ, ეს მომენტი მალე გაივლის.

● ადამიანს რყვნის არა ძალაუფლება, არამედ ამ ძალაუფლების დაკარგვის შიში.

● ქალს შეუძლია თამაშ-თამაშ მოატყუოს ასობით მამაკაცი, ოღონდ არა მეორე ქალი.

● სისულელეებს ყველანი ჩავდივართ, მაგრამ უბედურება ის არის, რომ თან ვამაყობთ კიდეც.

● ენა იმისთვის გვინდა, რომ გვირჩიოს რამე, თავი კი იმისთვის, რომ უარი გვათქმევინოს ამ რჩევებზე.

● როცა ეშინიათ, რომ ვინმესგან პასუხად „არას“ მიიღებენ, იმას აღარც ეკითხებიან.

● საკუთარი თავისუფლებისთვის საკუთარ თავს უნდა ებრძოლო.

● თუ სიყვარულმა თავი დაგაკარგვინა, ადვილი შესაძლებელია, რომ საყვარელიც დაკარგო.

● როგორც წესი, ის მეგობრები გვყიდიან, რომელთა მტრებად გადაქცევაც შეგვეშინდა.

● როცა დასაკარგი არაფერი გაქვს, ყველაფრის რისკზე წასვლა შეგიძლია.

● დაბერების პირველი სიმპტომი სიცოცხლის ტრფიალია.

● ქალები ხან პირდაპირ გულში უმიზნებენ მამაკაცს, უარყოფენ რა იმის სხვა ნაწილთ სხეულისას.

● ერთხელ ქმარგაყრილი ქალი მეორედ იმიტომ გათხოვდა, რომ არ ემუშავა, ახლა კი იმიტომ მუშაობს, რომ აღარ გათხოვდეს.

● ქალებს მარტო უფლებებილა დარჩათ. ადრე პრივილეგიები ჰქონდათ.

● ბევრს ნუ იფიქრებ, თორემ სულ მოიშლები.

● მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი, და გეტყვი, რისთვის გინდა.

● მამაკაცი ყოველთვის მიეშველება ქალს ჩანთის ტარებაში, მეტადრე, თუ ქალი ახალგაზრდაა და ჩანთა არა აქვს.

● ნუ იქნებით ძუნწი დაპირებებში, რამეთუ ქალებს ისე არაფერი არ იტაცებს, როგორც დაპირებები.

● ქალი იშვიათად გვაყვარებს თავს იმით, რითაც გვიტაცებს.

● რაც უფრო უკეთესია სალუდე, მით უფრო უარესია ცოლი, რაც უფრო უარესია ცოლი,მით უფრო უკეთესია სალუდე.

● რათა მტკიცედ ვიდგეთ ფეხზე, სირბილი გვიხდება.

● მთვრალები ბედნიერებისგან მესამეს არ ეძებენ.

● უკეთუ ცოლი და ქმარი სატანები არიან, ანგელოზი შვილები როგორღა უჩნდებათ?

● ქორწინება საკუთრების დაკანონებული ფორმაა.

● სასწაულებისა უფრო ადვილად გვჯერა, ვიდრე საკუთარი შესაძლებლობებისა.

● რისამე ყიდვა ქმარი არ არის, ხან ნაყიდი რამ ხშირად ბევრად უფრო ბედნიერს ხდის ქალს.

● დიეტა ქალს დაპირებების ჭამით ახდუნებს.

● ასაკთან ერთად ტანის სიწერწეტის ცნებაც ბუნდოვნად იცვლება.

● შეიძლება წყალში შეუსვლელად მიცურდე სადმე.

● უკეთუ ცხოვრება უკუღმა გვარცხნის, შენც ადექი და წაღმა შებრუნდი.

შეკრიბა და გაასტრიპტიზა
გურამ წიკლაურმა

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ვყიდნაცვალ-ი ვარსელებთან

რუსეთი ყირიმს იერთებს, გააფორმებს თუ არა აფხაზეთსა და ცხინვალსაც?

კავკასიურ ხალხთა კონფედერაციის ხელმძღვანელის ზაალ კასრელიშვილის აზრით — „ყირიმი რუსეთს სჭირდება დასავლეთთან პოლიტიკური ვაჭრობისთვის. თუ იმას ვერ მიიღებს, რაც მას

უნდა, ვითარებას მეტად დაძაბავს, შეეცდება ყირიმი ოფიციალურად გააფორმოს... აფხაზეთისა და ცხინვალის ოლქის მიერთების საკითხი ვერ გეტყვით, რომ დღეს და ხვალ შეიძლება იყოს აქტუალური. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მას მხოლოდ ცხინვალი და აფხაზეთი არ აკმაყოფილებს, ყირიმისგან განსხვავებით, მის ინტერესებში შედის სრულიად საქართველო, ამიტომ ცხინვალი და აფხაზეთი შეევაჭრება გავლენების დაბრუნების სანაცვლოდ. თუ უარს მიიღებს, ბუნებრივია, არ ეცდება ამ ნაბიჯის გადადგმას, დაიჭერს რეფერენდუმის შედეგებს ხელში და ამ შედეგებზე ივაჭრებს.

„ალია“

„მარგველაშვილს თანამშრომლებიც კი არ ემორჩილებიან“

— დაუნდობელია ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკური მდივანი გიორგი გუგავა, — მასზე სერიოზული საუბარი შეუძლებელია, იმიტომ, რომ ის ყოველნაირად მოკლებულია შესაბამის ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს. მას უშიშროების საბჭოს ფუნქციაც ჩამოართვეს. პრაქტიკულად დღეს ჩვენი პრეზიდენტი უფლებაყრილი, გასაცოდავებული არსებაა, რომელსაც საკუთარი კანცელარიის თანამშრომლებიც აღარ ემორჩილებიან.

„ახალი თაობა“

„ეს შენ გეხება — ისევ გვისმენენ“

არასამთავრობო ორგანიზაციების მტკიცებით, შინაგან საქმეთა სამინისტრო ფარულ მოსმენას დღესაც ახორციელებს, სწორედ ამიტომ უკანონო მოსმენის წინააღმდეგ კამპანია — „ეს შენ გეხება“ იწყება. ორგანიზატორების თქმით, კამპანიის მიზანია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა და უკანონო მოსმენის, მიყურადების წინააღმდეგ მოქმედება. შს მინისტრის ალექსანდრე ჭიკაიძის მტკიცებით, მოქალაქეებისადმი უკანონო მიყურადება არ ხდება.

„რეზონანსი“

◎ ცინცხალი ანეკდოტები

დაივიწყეთ სახსრების ტკივილი, დაივიწყეთ თავის ტკივილი, დაივიწყეთ კარიესი, გაცივება!

ახლა თქვენთანაა ისl სკლეროზი...

* * *

ავტობუსში გოგოს მუხლებზე კატა უზის და ნაზად ეფერება.

— ოჰ, როგორ მინდა, რომ მაგ კატის ადგილას მე ვიყო! — ნართაულად ეუბნება გოგოს წინა სავარძელზე მჯდომი ახალგაზრდა ბიჭი.

— არა მგონია, ეს მოგინდეს, თუ გაიგებ, რომ ეს კატა ვეტერინართან მიმყავს კასტრაციისთვის.

* * *

სექსი — ეს მათემატიკაა, რომლის დროსაც საჭიროა ტანსაცმლის გამოკლება, საწოლის მიმატება, ფეხების გაყოფა და, გამრავლების თავიდან ასაცილებლად, — ფესვის დროულად ამოღება.

* * *

ორი კატა საუბრობს:

— და რაო მან, როდის დავქორწინდები შენზეო?

— მარტშიო.

— მარტში ყველა მათგანი იძლევა ასეთ დაპირებას.

* * *

— ესე იგი, შვებულებიდან ვბრუნდები სახლში, — ეუბნება პეტკა ძმაკაცს, — შევდივარ მატარებლის კუპეში, და, რას ვხედავ: ქალი ზის, ჭკუიდან გადაგიყვანს ისეთი! გასაგიჟებელი მკერდი, გასაოგნებელი ფეხები, საროს ტანი... ჩვენს მეტი კუპეში არავინაა... მოკლედ, დავაძვრე კონიაკი, დავლიეთ, ერთმანეთი გავიცანით, სიტყვას სიტყვა მოჰყვა, მერე მოფერებაც და... ბოლოს ყველაფერი უტკბესი სექსით დამთავრდა. მერე ის უეცრად აქვითინდა.

— რა მოგივიდა, საყვარელო? — ვეფერები, ვამშვიდებ.

— მრცხვენია, — სლუკუნით ამბობს იგი, მრცხვენია ჩემი თავისა. საოცრად კარგი ქმარი მყავს, მოსიყვარულე, ერთგული, ლამაზი... მეც არასოდეს არ მიღალატია მისთვის, დღეს კი რა დამემართა, არ ვიცი, — ტირის ქალი, ისე გულამოსკვნილი ტირის, რომ მეც ავტირდი.

— მერე?

— რა მერე!

— რა და, მერე რა იყო?

— რა იყო და, მთელი გზა ასე იყო — ვტიროდით და, ვსექსაობდით, ვტიროდით და, ვსექსაობდით...

რედაქცია გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ კადრი

ავტორთა საჭურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ბაშაკიძე 514 33-33-24